

ნუგზარ ამილახვარი

გიორგი ამილახვარი

ხელნაწერის უფლებით

ინფორმატიკა 2

(უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის)



თბილისი - 2013

ლექციათა კურსში მოცემულია ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის, თბილისის დია სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანის, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის, კომპიუტერული მეცნიერების პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელის, მომაცემთა ბაზების მიმართულების უფროსის, კომპიუტერული მეცნიერების სრული პროფესორის ნეგარ ამილახვარის და მათემატიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის საქართველოს სამთავრობო კანცელარიის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი სპეციალისტის, თბილისის დია სასწავლო უნივერსიტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა ასისტენტ პროფესორის გიორგი ამილახვარის ერთობლივი ლექციათა კურსი, რომელშიც გადმოცემულია მრავალწლიანი (20 წელზე მეტი), მეთოდურად დამუშავებული, ლექციების კურსი.

ლექციათა კურსში მოცემულია მაიკროსოფტის საოფისე პროგრამა Excel-ისა და Access-ის მართვის და მასში მუშაობის უსტრუქტურის კველა მეცნიერების განხილვით, რომელიც ესაჭიროება ნებისმიერ სფეროში მოღვაწე კომპიუტერის მომხმარებელს.

წიგნი, ძირითადად, განკუთვნილია უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის. ასევე მოცემული წიგნით შეუძლიათ იხელმძღვანელონ იმ პირებმაც, რომლებსაც არ გააჩნიათ კომპიუტერთან ურთიერთობის გამოცდილება.

ავტორები წინასწარ უხდიან მაღლობას წინადადებებისათვის და შენიშვნებისათვის, რომელიც შეგიძლიათ გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე pukriami@gmail.com ან პირდაპირ ურთიერთობის გამოცდილება.

ISBN 978-9941-0-5736-6

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არცერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ავტორების წერილობითი ნებართვის გარეშე. საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.



**AI TABEEĘEO BAEEĘAEÓ DATAAA II TATAOAAEÓ
AYI AEТАAA:**

- Өİ Âİ Ö ÜÄÅØÍÍAE ÄÁÀEEÉ BEÁÍÉ
- Өİ Âİ Ö ÄÄÅÄÄÄÄÍ È BEÁÍÉ
- Өİ Âİ Ö ÄÄÅÄÄÄÄÄÍ È BEÁÍÉ ÄEÄØÖÖÍ ÍOEÉ BÄÖEEÉÈ
- Өİ Âİ Ö ÄÄBÄÖÍÍ È ÜÄYÄEÀ ÖAÄÖEÜÉ
- Өİ Âİ Ö ÄYÄÄEÍ È BEÁÍÉÓ ÜÄÄÍÄÄ
- Өİ Âİ Ö ÄÄ×Í ÖÌÄÖEÖÍ È ÖÄEÄÄÄ ÄÀ ÄÍ ÈÍ
- Өİ Âİ Ö ÜÄÄÖÄÄE BÜÄÄÖÄÄE
- Өİ Âİ Ö ÄÄBÄÖÍÍ È ×Í ÖÌÖEÄÄEÓ ÜÄÜÄÄÍÄ ÄÀ ÄÄEÄÄE YÄÖEEÄÄÜÉ


პროგრამის ჩართვა



საოფისე პროგრამა **Excel**-ის ჩასართავად მომხმარებელმა უნდა გაააქტიუროს **Start>All Programs\Microsoft Office\Microsoft Office Excel 2003** გზა, რომლის შემდეგაც ჩაიტვირთვება აღნიშნული პროგრამა და მომხმარებელს შეუძლია მასში მუშაობა. აქვე

არიან განთავსებულნი სხვა საოფისე პროგრამებიც.

პროგრამის გახსნისას ფანჯრის მარჯვენა მიღამოში გამოისახება **მოცუნათა პანელი (Task Pane)**, რომლის ბედა ნაწილში მომხმარებელს ეძლევა საშუალება ისარგებლოს ინტერნეტის საშუალებებით: **Microsoft Office**-ის ვებგვერდთან დაკავშირება, პროგრამასთან დაკავშირებული ბოლო სიახლეებთან გაცნობა, პროგრამის ავტომატური განახლება და დამხმარე ინფორმაციის მოძიება. მოცემულ პანელის ქვედა ნაწილში



მომხმარებელს ეძღვა საშუალება გახსნას უკვე შექმნილი წიგნები ან შექმნას ახალი წიგნი.

ამოცანათა პანელის სათაურ-ში განლაგებული ჩამოსაშლელი მე-ნუში გამოსახულია პროგრამასთან ურთიერთობის სახვადასხვა საშუა-ლებები:

- **დახმარება**
- **ძებნა**
- **კლიპარტები**
- **დამატებითი ძებნა**
- **დამახსოვრებული ფრაგმენტები**
- **ახალი წიგნი**
- **შაბლონები**
- **სამუშაო სივრცე**
- **საბუთის განახლება**
- **XML რუქები**



ძირითადად ეს მენიუები ემსახურებიან მითითებული ფუნქციე-ბის ინგერნეტის გამოყენებით წარმოება, მაგრამ არსებობს აგრეთვე ამ მენიუებში ელემენტები, რომლებიც არ საჭიროებენ ინტერნეტს (ეს ფუნქციები უკვე განხილულია ლექციათა კურსის | ნაწილში).

Microsoft Office Excel 2003-ის ფანჯრის გედა ნაწილის პირვე-ლივე ზოლი არის **მთავარი მენიუს ზოლი**, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს შეუძლია აწარმოოს ყველა სასურველი მოქმედება, რაც არის დაკავშირებული წიგნის შექმნა-ფორმატირებისათვის.



მთაგარი მენიუს ბოლოს პირველივე მენიუ არის **ფაილი (File)**. განვიხილოთ იგი.

მენიუ ფაილი (File)



მენიუს პირველი
სტრიქონი **ახალი...**
(New...) გამოიყენება ახ-
ალი წიგნის შექმნისათ-
ვის, რომლის შედეგადაც
ეკრანის მარჯვენა მიდა-
მოში გაიხსნება ძირითა-
დი მენიუ **ახალი სამუ-
შაო წიგნი (New Work-
book)**, რომლის შემავა-
ლი ქვემენიუებია **ახალი
(New)** და **შაბლონები
(Templates)**.

პირველ ნაწილში
ხორციელდება **სული-
სამუშაო წიგნის (Blank
workbook)** გახსნა და უკ-
ვე შექმნილი **სამუშაო**

წიგნისაგან (From existing workbook...). მეორე ნაწილში ხორციელ-
დება **შაბლონების შერჩევა თავისის გებ-გვერდიდან (Templates on
Office Online)**, **ჩემი კომპიუტერიდან (On my computer...)** და **ჩემი
გებ-გვერდიდან (On my Web sites...)**.

მენიუს მეორე სტრიქონი **გახსნა... (Open...)** გამოიყენება
შექმნილი წიგნის გახსნისათვის, რომლის შედეგადაც ეკრანის

ცენტრში გამოისახება ფაილის გახსნის ფანჯარა. ფაილის ტიპის სტრიქონში მომხმარებელს ეძღვევა საშუალება გახსნას როგორც სხვადასხვა კერძის ექსელის წიგნები, ასევე სხვადასხვა ცხრილების რედაქტორების ფაილები, სხვადასხვა მონაცემთა ბაზების ცხრილები, ტექსტური ფაილები, შაბლონები და სხვ.



მენიუს დანარჩენი სტრიქონები ფაილის ძებნა...-მდე (File Search...) უკვე აღწერილია მცემული ლექციათა კურსის | ნაწილში. ფაილის ძებნის სტრიქონის გააქტიურებისას ეკრანის მარჯვენა მიდამოში გაისხნება მირითადი მენიუ მირითადი ფაილის ძებნა (Basic File Search), რომლის შემავალი ქვემენიუებია ძებნისათვის (Search for), ძებნის სხვა ოფციები (Other Search Options) და კილევნახვა (See also).



პირველ ნაწილში ხორციელდება ტექსტის ძებნა (Search text), რომელშიც მომხმარებელს ეძღვევა საშუალება გახსნილ სტრიქონში შეიყვანოს სამებნი ტექსტი და მოიძიოს იგი. მეორე ნაწილში ძებნა იქ (Search in), რომელშიც მომხმარებელს

ეძღვა საშუალება მიუთითოს საძებნი მიდამოს მითითება, ხოლო შემდეგ ჩამოსშლელ სტრიქონში მომხმარებელს ეძღვა საშუალება მიუთითოს საძებნი ფაილის ტიპი. მესამე ნაწილში **ფაილის ძებნის დამატებითი საშუალებანი (Advanced File Search)** მომხმარებელს ეძღვა ძებნის დამატებითი საშუალებები გამოიყენოს, **განმეორებოთი ძებნა (Research)** და **ძებნა მოცემულ საბუთში (Find in this document...)** განახორციელოს.

მენიუს დანარჩენი სტრიქონები, გარდა ბეჭდვის ფუნქციების სტრიქონებისა იგივეა, რაც სხვა საოფისე პროგრამებში და უკვე აღწერილია მოცემული ლექციათა კურსის პირველ ნაწილში.

ბეჭდვითი ნაწილის პირველი სტრიქონის **გვერდის დაყენება-ს (Page Setup...)** გააქტიურებისას, ეკრანის ცენტრში გამოისახება




ფანჯარა, რომელიც შედგება ოთხი ჩანართისაგან:

- **გვერდი (Page)**
- **საზღვრები (Margins)**
- **სათავე/ფუძე (Header/Foter)**
- **ცხრილი (Sheet)**


პირველი ჩანართი შედგება სამი ნაწილისაგან:

- **ორიენტაცია (Orientation)**, რომელშიც უნდა შეიარჩეს გვერდის ორიენტაცია: **პორტრეტული (Portrait)** ან **პეიპარული (Landscape)**.
- **შეკლა (Scaling)**, რომელშიც შესაძლებელია დააყენდეს საბეჭდ გვერდზე ცხრილის ზომა პროცენტულად და რამდენ გვერდზე დაიბეჭდოს მთლიანი ცხრილი.
- მესამე ნაწილში მომხმარებელს ეძლევა საშუალება დააყენოს საბეჭდი ფურცლის გომა (Paper size), ბეჭდვის ხარისხი (Print




quality) და პირველი გვერდის ნომერი (First page number).

შემორე ჩანართი შედგება ორი ნაწილისაგან, რომლებშიც შესაძლებელია დაყენდეს ზედა (Top), ქვედა (Bottom), მარცხენა (Left) და მარჯვენა (Right) საბლოკების სათავის (Header) და ბოლოს (Footer) გორები. მეორე ნაწილში კი – ცხრილის ცენტრირება გვერდზე (Center on page) პორიზონტალურად (Horizontally) ან გერგვიალურად (Vertically).



შესამე ჩანართში შესაძლებელია დაყენდეს როგორც სტანდარტული სათავე და ფუძე, ასევე თვით შექმნას ისინი დამატებითი სათავე (Custom Header...) ან დამატებითი ფუძეს (Custom Footer...) დილაკების მეშვეობით. ამ დილაკების გააქტიურებისას მონიტორის

ეპრანზე გამოსახული ფანჯარა (ორივე შემთხვევაში ერთიდაიგივე, რომლის განსხვავება მხოლოდ სათაურშია), რომელშიც მომხმარებელმა უნდა შეიტანოს თუ რა უნდა რომ გამოსახოს მარცხენა, ცენტრისა და მარჯვენა სექციაში.



ამ ფანჯარაში მოცემულ ღილაკების მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია ჩასვას:

- ტექსტის (რომელიც შეიძლება ჩაიწეროს საქციაში) ფონტის ფორმატირება
 - გვერდის ნომერი
 - სულ გვერდების რაოდენობა
 - მიმდინარე თარიღის ჩასმა
 - მიმდინარე დროის ჩასმა
 - მიმდინარე წიგნის ადგილმდებარეობის გზა და სახელი
 - მიმდინარე წიგნის სახელი
 - მიმდინარე ცხრილის სახელი
 - ნახატის ჩასმა
 - ობიექტის ფორმატირება
- მეოთხე ჩანართი იყოფა ოთხ ნაწილად:
- **საბეჭდი არე (Print area)**, რომელშიც მომხმარებელს ეძლევა



საშუალება სტრიქონზე მდებარე მარჯვენა ღილაკის მეშვეობით მონიშნოს არ ე, რომელიც საჭიროა დაიბეჭდოს, რის შემდეგადაც ისევ სტრიქონის მარჯვენა არეში მდებარე ღილაკის მეშვეობით დაბრუნდეს ფანჯარაში

- **სათაურების ბეჭდვა (Print titles)**, რომლის საშუალებთაც მომხმარებელს ეძლევა საშუალება მონიშნოს ის სტრიქონები და სვეტები, რომლებიც არიან ცხრილის სათაურები და უნდა დაიბეჭდონ ყველა გვერდზე
- **ბეჭდვა (Print)**, სადაც მომხმარებელს ეძლევა საშუალება მონიშნოს თუ როგორ განხორციელდეს ბეჭდვა: **ბადის (Gridlines)** გამოჩენა, **შავთეთრი (Black and white)** ბეჭდვა, **დაბალი ხარისხით (Draft quality)** ბეჭდვა, **სტრიქონისა და სვეტის სათაურის (Row and column headings)** ბეჭდვა, **კომენტარების (Comments)** ბეჭდ-

- ვა (ცხრილის ბოლოში ან ცხრილზე), **უჯრაში შეცდომების (Cell errors as)** ბეჭდვა, არ ბეჭდვა, – (მინუსი) ან #N/A-ს ბეჭდვა
- **გვერდების მიმღევრობა (Page order)**, სადაც მომხმარებელს ეძღვევა საშუალება მონიშნოს თუ როგორ განხორციელდეს ბეჭდვის მიმღევრობა: **ქვემოთ, შემდეგ მარჯვნივ (Down, then over)** თუ **მარჯვნივ, შემდეგ ქვემოთ (Over, then down)**
- ყველა ჩანართში განთავსებლია **ბეჭდვის... (Print...)**, **ბეჭდვის წინასწარი ნახვის (Print Preview)** და ბეჭდვის **ოპციების... (Options)** ღილაკები.
- ბეჭდვითი ნაწილის მეორე სტრიქონის **ბეჭდვის არე (Print Area)** შეიცავს ორ ქვემენიუს: **ბეჭდის არეს მონშვნა (Set Print Area)** და **ბეჭდის არეს გასუფთავება (Clear Print Area)**.



ბეჭდვითი ნაწილის მესამე სტრიქონის **ბეჭდვის წინასწარი ნახვა (Print Preview)** გააქტიურებისას მონიტორის ეკრანზე გამოჩნდება ფანჯარა, რომლის მთავარი მენიუ შედგება შემდეგი ღილაკებისაგან:

- **შემდეგი (Next)** გვერდის ნახვა
- **წინა (Previous)** გვერდის ნახვა
- **ზომის (Zoom)** შეცვლა. ნორმალური ჩვენებიდან გადიდება, ან გადიდებული ჩვენებიდან ნორმალურში გადაყვანა
- **ბეჭდვა... (Print...)**, რომელიც იდენტურია ბეჭდვითი ნაწილის მეოთხე სტრიქონისა და განხილული იქნება მოცემულ ლექციათა კურსში
- **დაყენება... (Setup...)**, რომელიც იდენტურია ბეჭდვითი ნაწილის პირველი სტრიქონისა და განხილულია მოცემულ ლექციათა

კურსში

- **საბლოკები (Margins)**, რომლის გააქტიურებისას წინასწარი ნახვის ეკრანზე გამოისახება/დაიმაღლება საბლოკები. თუ მომხმარებელს სურს, მას შეუძლია თაგვის მაჩვენებლით გადაიგანოს ნებისმიერი საბლოკი
- **გვერდის წყვეტის წინასწარი ნახვის (Page Break Preview)** რეჟიმში გააყვანა, რომელიც განხილული იქნება მოცემულ ლექციათა კურსში ჩვენების მენიუში
- **დახურვა (Close)**, რომლის გააქტიურებისას ბეჭდვის წინასწარი ნახვის რეჟიმიდან გამოსვლა ხორციელდება
- **დახმარება (Help)**
ბეჭდვითი ნაწილის მეოთხე სტრიქონის **ბეჭდვა... (Print...)** გააქტიურებისას მონიტორის ეკრანზე გაიხსნება ბეჭდვის ფანჯარა, რომელიც შედგება ოთხი ნაწილისაგან. პირველი და მეოთხე ნაწილი



იდენტურია სხვა საოფისე პროგრამების ბეჭდვის ფანჯრისა და უკვე აღწერილია მოცემულ ლექციათა კურსში.

ფანჯრის მეორე ნაწილში **ბეჭდვის დიაპაზონი** (Print range) მომხმარებელს ეძლევა საშუალება მიუთითოს **ყველა** (All) გვერდის ბეჭდვა უნდა თუ **გვერდების** (Page(s)) გარკვეული დიაპაზონის.

ფანჯრის მესამე ნაწილში მომხმარებელმა უნდა მიუთითოს თუ **რისი ბეჭდვა** (Print what) სერს: **მონიშნულის** (Selection), **გააქტივირებული ცხრილის** (Active sheet(s)), **გახსნილი სამუშაო წიგნის** (Entire workbook), **ჩამონათვალის** (List).


მენიუ რედაქტირება (Edit)

მენიუს ყველა სტრიქონი, გარდა მესამე ნაწილისა, არის იდენტური სხვა საოფისე პროგრამებისა, რომელიც უკვე აღწერილია მოცემულ ლექციათა კურსში. განვიხილოთ ამ მენიუს მესამე ნაწილის სტრიქონები.

მესამე ნაწილის პირველი სტრიქონის **შესვების** (Fill) გააქტიურებისას მონიტორის ეკრანზე გაიხსნება ქვემენთუ, რომელშიც მდებარეობს შევსების მიმართულების და **მიმდევრობების** (Series...) შესაქმნელი სტრიქონები.

მიმდევრობს სტრიქონის გააქტიურებისას მონიტორის ეკრანზე გამოისახება ფანჯარა, რომელშიც მომხმარებელმა უნდა შეარჩიოს მიმდევრობის **სახე** (სტრიქონში ან სვეტში),





ტიპი (არითმეტიკული პროგრესია, გეომეტრიული პროგრესია, თარიღის მიმდევრობა და ავტოშექსება). თუ მომხმარებელმა ტიპი შეარჩია თარიღის მიმდევრობა, ფანჯარაში გააქტიურდება თარიღის მიმდევრობის შერჩევის შესაძლებლობა (დღეები, კვირის დღეები, თვეები, წლები).

აღნიშნულ ფანჯარაში მომხმარებელს, აგრეთვე, აქვს შესაძლებლობა მიუთითოს **ბიჯის მნიშვნელობა (Step Value)** და **გაჩერების მნიშვნელობა (Stop Value)**.

მესამე ნაწილის მეორე სტრიქნის **გასუფთავების (Clear)** გააქტიურებისას მონიტორის ეკრანზე გაიხსნება ქვემენი რომელიც



მომხმარებელს ეძლევა საშუალება მონიშნულ ურედში (უჯრედებში) წაშალოს **ყველაფური (All)**, ან **ფორმატირებები (Formats)**, ან **შემადგენლობა (Contents)**, ან **კომენტარები (Comments)**.


მესამე ნაწილის მესამე სტრიქონის **წაშლა...** (Delete...) გა- აქტიურებისას მონიტორის ეკრა- ნზე გამოისახება ფანჯარა, რომე- ლშიც მომხმარებელმა უნდა შეარ- ჩითს თუ მონიშნული უჯრედის (უჯრედების) წაშლის შემდეგ რო-



გორ შეიცსოს ცარიელი ადგილი: **მარცხნივ გამოიწიოს** შევსებამდე მარჯვნივ მდებარე უჯრედი (უჯრედები) თუ გემოთ **აიწიოს** შევსებამდე ქვემოდ მდებარე უჯრედი (უჯრედები). თუ მომხმარე- ბელს სურს წაშალოს მთლიანად **სტრიქონი** ან **სვეტი**, მან უნდა აირჩიოს შესაბამისად მესამე ან მეოთხე სტრიქონი.

მესამე ნაწილის მეოთხე სტრიქონის **ცხრილის წაშლა** (Delete Sheet) გააქტიურებისას წაიშლება გააქტიურებული ცხრილი.

მენიუ ჩვენება (View)



ჩვენების მენიუში პირველ ნაწილში წარმოდგენილია ცხრი- ლის ჩვენების ორი ვარიანტი: **ნორ- მალური** (Normal) და გვერდის წყვეტის წინასწარი ნახვის რეკომ- ძი. ამ რეკომძი მომხმარებელს ეძ- ლევა საშუალება თაგვის მაჩვენებ- ლის საშუალებით გადაიგანოს სა- სურველ ადგილზე გვერდის წყვეტა, ხოლო ცხრილი შესაბამსად შეიცვ- ლის გომებს (შეიცვლება შესაბამი- სად დაყენებაში გომის პროცენტუ-


ლი მაჩვენებელი).

ჩვენების მენიუს მეორე ნაწილი იდენტურია სხვა საოფისე პროგრამებისა (გარდა **ფორმულის სტრიქონის (Formula Bar)** ჩვენება/არ ჩვენებსა), რომელიც უკვე განხილულია მოცემულ ლექციათა ქურსში.

ჩვენების მენიუს მესამე ნაწილის პირველი სტრიქონი განხილულია **File/Page Setup** ფანჯარაში, ხოლო მეორე სტრიქონის მეშვეობით მომხარებელს ეძლევა საშუალება გამოაჩინოს/დამაღისე კომენტარები (Comments).

ჩვენების მენიუს მეოთხე ნაწილი იდენტურია სხვა საოფისე პროგრამებისა და იგი უკვე განხილულია მოცემულ ლექციათა ქურსში.

მენიუ ჩასმა (Insert)



ჩასმის მენიუს პირველი სტრიქონის **უჯრედები...** (**Cells...**) გააქტიურებისას მონიტორის ეკრანზე გაოსახება წაშლის ანალოგიური ფანჯარა იმ განსხვავებით, რომ იქ არის წაშლა და აქ ჩასმა.

ჩასმის მენიუს მეორე სტრიქონის **სტრიქონები (Rows)** გააქტიურებისას ცხრილში განხორციელდება იმდენი სტრიქონის ჩასმა, რამდენიც გააჭირებულია და იმ სტრიქონის წინ რომელიც გააქტივირებულია.

ჩასმის მენიუს მესამე სტრიქონის **სვეტები (Columns)** გააქტიურები-

სას ცხრილში განხორციელდება იმდენი სვეტის ჩასმა, რამდენიც გააქტივირებულია და იმ სვეტის წინ რომელიც გააქტივირებულია.


ჩასმის მენიუს მეოთხე სტრიქონის **სამუშაო სხრილი (Worksheet)** გააქტიურებისას ცხრილში განხორციელდება იმდენი ცხრილის ჩასმა, რამდენიც გააქტივირებულია და იმ ცრილის წინ რომელიც გააქტივირებულია.



ჩასმის მენიუს მეხუთე სტრიქონის **გრაფიკი... (Chart...)** გააქტიურებისას მონიტორის ეკრანზე გამოისახება გრაფიკის შექმნის ოთხბიჯიანი ოსტატის ფანჯარა, რომლის პირველ ნაბიჯზე მომხმარებელმა უნდა შეარჩიოს **გრაფიკის ტიპი (Chart Type)**.



ოსტატის მეორე ბიჯგ მომხმარებელმა უნდა შეარჩიოს უჯრედთა **მონაცემთა დიაპაზონი (Data Range)**, რომელგეც უნდა აიგოს გრაფიკი და მონიშნოს თუ გრაფიკი უნდა აიგოს სტრიქონების თუ სვეტების მიმდევრობით, ხოლო **მიმდევრობების (Series)** ჩანართიში მომხმარებელს ეძღვევა საშუალება თითოეულ მიმდევრობას მიუთითოს როგორც მიმდევრობის სათაური, აგრეთვე მისი დიაპაზონი.




ოსტატის მესამე ბიჯგე მომხმარებელმა უნდა დაყენოს **გრაფიკის თავისები (Chart Options)**, რომელიც შედგება ექვსი ჩანართითა საგან.


პირველ ჩანართში მომხმარებელმა შესაბამის სტრიქონებში უნდა მიეთითოს **სათაურები (Titles)**: **გრაფიკის სათაური (Chart title)**, **კატეგორიის X ღერძის სათაური**, **მიმღევრობების Y ღერძის სათაური** და **მნიშვნელობების Y ღერძის სათაური**.

მეორე ჩანართში **ღერძები (Axes)** მომხმარებელმა უნდა მიეთითოს ყველა ღერძებისათვის – წარწერები უნდა გამოჩნდეს თუ არა, ხოლო X ღერძს აგრეთვე შეიძლება მიეთითოს ჩვეულებრივი კატეგორიისაა თუ დროის.


მესამე ჩანართში **ბადეები (Gridlines)** მომხმარებელმა უნდა მიეთითოს ყველა ღერძებისათვის **მსხვილი ბადეები (Major gridlines)**



თუ **წერილი ბადე** (Minor gridlines) აისახოს გრაფიკზე.




მეოთხე ჩანართში **ლეგენდა (Legend)** მომხმარებელმა უნდა მიუთითოს ლეგენდის გამოჩენის ადგილი: **ქვემოთ (Bottom)**, **ზეპარჯვენა (Corner)** მიღამში, **ზევით (Top)**, **მარჯვნივ (Right)** თუ **მარცხნივ (Left)**.




მეხუთე ჩანართში **მონაცემთა წარწერები (Data Labels)** მომხმარებელმა უნდა მიუთითოს გამოჩნდეს თუ არა თითოეულ მონაცემზე მიმდევრობის სახელი (Series name), კატეგორიის სახელი (Category name), მნიშვნელობა (Value) თუ პროცენტი (Percentage). ასევე ამ ჩანართში შეიძლება მიეთითოს გამყოფი სიმბოლოები (Separator) და მნიშვნელობებზე ლეგენდის გასაღების (Legend key) ანუ ფერი.

მეექვსე ჩანართში **მონაცემთა ცხრილი (Data Table)** მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა მიუთითოს გრაფიკთან ერთად



გამოჩნდეს თუ არა მონაცემთა ცხრილი (და მასთან ერთად ლეგენდების ფერები).

ოსგანაცის მეოთხე ბიჯეტები მომხმარებელმა უნდა შეარჩიოს **გრაფიკის ლოკაცია (Chart Location)**, ანუ განთავსების ადგილი: როგორც ახალი ცხრილი (**As new sheet**), თუ როგორც ობიექტი (**As**



object in) გვერდზე სტრიქონში მითითებულ ცხრილში. პირველ
შემთხვევაში წიგნში შიქმნება ახალი ცხრილი და მასში
განთავსებული იქნება მხოლოდ გრაფიკი, რომელშიც ცხვა
ინფორმაციის განთავსების საშუალება უკვე აღარ იქნება.

ჩასმის მენიუს შემდეგი სტრიქონი სიმბოლო... (Symbol...)
იდენტურია სხვა საძოვისე პროგრამებისა, რომელიც უკვე
განხილულია მოცემულ ლექციათა კურსში.

ჩასმის მენიუს შემდეგი სტრიქონი გვერდის წყვეტა (Page Break) ანალოგიურია Microsoft Word-ში იგივე სტრიქონისა ერთი
განსხავებით. Microsoft Word-ში საბუთს გააჩნია მხოლოდ
სტრიქონები და, ამიტომ, გვერდის წყვეტას ანხორციელებს მხოლოდ
სტრიქონების მხედვით. რაც შეეხება Microsoft Excel-ს, მას გააჩნია
როგორც სტრიქონები, ასევე სვეტებიც და, თავისთავად, გვერდის
წყვეტაც აქვს როგორც სტრიქონებად, ასევე სვეტებად. თუ
მომხმარებელს სურს განახორციელოს გვერდის წყვეტა მხლოდ
სტრიქონად, ბრძანება უნდა განხორციელდეს როდესაც
გააქტივირებულია პირველი სვეტის ის უჯრედი, რომლის წინაც
უნდა განხორციელდეს წყვეტა, ხოლო თუ გვერდის წყვეტა უნდა
განხორციელდეს მხოლოდ სვეტად, ბრძანება უნდა განხორციელდეს
როდესაც გააქტივირებულია პირველი სტრიქონის ის უჯრედი,
რომლის წინაც უნდა განხორციელდეს წყვეტა. თუ მომხმარებელს
სურს განახორციელოს გვერდის წყვეტა როგორც სტრიქონად ასევე
სვეტად, ბრძანება უნდა განხორციელდეს როდესაც
გააქტივირებულია ის უჯრედი, რომლის წინაც უნდა
განხორციელდეს გვერდის წყვეტა.


ჩასმის მენიუს შემდეგი სტრიქონი ფუნქცია... (Function...)
განხილული იქნება შემდგომში მოცემულ ლექციათა კურსში.

ჩასმის მენიუს შემდეგი სტრიქონის სახელი (Name)

მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია მიანიჭოს სპეციფიური სახელი როგორც უჯრედს, ასევე სტრიქონს ან სვეტს.

ახალი სახელის შესაქმნელად მომხმარებელმა უნდა გაააქტიუროს ქვემენიუ **Define...**, რომლის შემდგაც მონიტორის ეკრანზე გამოისახება სახელის შესაქმნელი ფანჯარა **Define Name**. მოცემულ ფანჯარაში მომხმარებელმა სტრიქონში **სახელები სამუშაო წიგნში (Names in workbook)** უნდა შეიყვანოს ის სახელი, რომელიც მას სურს დაარქვას, ხოლო სტრიქონში **Refers to** – რას უნდა რომ დაარქვას. მონაცემების ჩაწერის შემდეგ, თუ მომხმარებელს სურს კიდევ შეიტანოს სახელი, უნდა გააქტიურდეს ღილაკი **დამატება (Add)**, ხოლო თუ ამ სახელის გარდა აღარ სურს დამატება, მაშინ ღილაკი **თანხმობა (OK)**.

შემდგომში ეს სახელი მომხმარებელს შეუძლება გამოიყენოს როგორც ფორმულაში, ასევე ფორმულის სტრიქონში მარცხენა




მიდამოში მოთავსებულ უჯრედის სახელის ჩამოსაშლელში მოთავსებული ყველა შექმნილი სახელების ამორჩევის მეშვეობით (ამ ჩამოსაშლელ მენიუში მოთავსებულია ყველა შექმნილი სახელიები და, თუ მომხმარებელი შეარჩევს რომელიმე მას, მოინიშნება ის უჯრედი/სტრიქონი/სვეტი, რომელსაც დაერქვა ეს სახელი).

ჩასმის მენიუს შემდეგი სტრიქონები ბოლომდე იღენტურია სხვა საოფისე პროგრამებისა და განხილულია მოცემულ ლექსიათა კურსში.

მენიუ ფორმატირება (Format)


ფორმატირების მენიუს პირველი სტრიქონის **უჯრედები... (Cells...)** გააქტიურებისას მონიტორის ეკრანზე გამოისახება უჯრედების ფორმატირების ფანჯარა, რომელსაც გააჩნია ექვსი ჩანართი. ფორმატირება განხორციელდება იმ უჯრედზე (ან უჯრედებზე), რომლებიც მონიშნულია სტრიქონის გააქტიურების მომენტში.



პირველი ჩანართი **რიცხვი (Number)** გამოიყენება უჯრედის/უჯრედების **კატეგორიის (Category)** მისათითებლად.

ჩამონათვალის პირველი კატეგორია, რომელიც არის **მთავარი (General)**, რომელიც შეთანხმებით შერჩეულია უჯრედების კატეგორიად. ამ კატეგორიის უჯრედებში რიცხვები გამოისახება მარჯვენა, ხოლო დანარჩენი ტიპები მარცხენა მიდამოში.


ჩამონათვალის მეორე კატეგორიაა **რიცხვი (Number)**, რომელიც მომხმარებელს ეძლევა საშუალება მიუთითოს: რამდენი



ციფრი უნდა გამოისახებოდეს ათწილადი ნიშნის შემდეგ, რა სიმბოლოთი უნდა გამოიყოს ყოველი ათასეული და როგორ უნდა გამოისახებოდეს უარყოფითი რიცხვები.


ჩამონათვალის მესამე კატეგორიაა **ფულადი (Currency)**, რომელშიც მომხმარებელს, გარდა რიცხვითი ფორმატებისა, ეძღვა საშუალება მიუთითოს თუ რა ფულადი ერთეული იქნეს გამოსახული უჯრედში რიცხვის შეყვანის შემდეგ.

ჩამონათვალის მეოთხე კატეგორიაა **თვლადი (Accounting)**, რომელშიც მომხმარებელს იგივე ფუნქციები შეძლია დააყენოს რაც ფულად კატეგორიაში, გარდა უარყოფითი რიცხვების ფორმატის მითითებისა.



ჩამონათვალის მექუთე კატეგორიაა **თარიღი (Date)**, რომელიც მომხმარებელს ეძლევა საშუალება მიუთითოს **ლოკაციას (Locate (location))** მიხედვით **ტიპში (Type)** მითითებლი სტრიქონი, ანუ ამ კატეგორიაში შესაძლებელია მიეთითოს თარიღის ტიპის გრძელი ან მოკლე გავრცელებული ფორმატი.

ჩამონათვალის მეექვეს კატეგორიაა **დრო (Time)**, რომელიც მომხმარებელს, ისევე როგორც თარიღის კატეგორიაში, ეძლევა საშუალება მიუთითოს **ლოკაციას (Locate (location))** მიხედვით **ტიპში (Type)** მითითებლი სტრიქონი, ანუ როგორი ფორმატით უნდა, რომ გამოისახებოდეს დრო მონშეულ უჯრედში/უჯრედებში.




მომხმარებელს შეუძლია ანალოგიურად მიუთითოს ფორმატი- რებს ჩამონათვალის დანარჩენი კატეგორიების. რაც შეეხება **დამატებით (Custom)** სტრიქონს მისი ფორმატირების საშუალებები განხილული იქნება მოცემულ სახელძღვანელოში Microsoft Access-ის ფორმატირების საშუალებებთან ერთად.

მეორე ჩანართი გასწორება (**Alignment**) გამოიყენება უჯრედში/უჯრედებში ტექსტის ფორმატირებისათვის.

გასწორების ჩანართის პირველ ნაწილში **ტექსტის გასწორება (Text alignment)** მომხმარებელს ეძლევა საშუალება გაასწოროს ტექსტი უჯრედში როგორც **ჰორიზონტალურად (Horizontal)**, ასევე

ვერტიკალურად (Vertical). პორიზონტალურად მარცხნივ (Left) ან მარჯვნივ (Right) გასწორებისას მომხმარებელს ეძღვა საშუალება რიცხობრივად მიუთითოს დაშორება (Indent) გვერდიდან.


გასწორების ჩანართის მეორე ნაწილში **ორიენტაცია (Orientation)** მომხმარებელს ეძღვა საშუალება დააყენოს ტექსტის ორიენტაცია ვერტიკალური ან პორიზონტალური, ან დახაროს ტექსტი **გრადუსების (Degrees)** მიხედვით.



გასწორების ჩანართის მესამე ნაწილში **ტექსტის კონტროლი (Text Control)** შესდგება სამ ნაწილისაგან: **ტექსტის გადაფანა (Wrap text)**, რომლის დროსაც უკრედში შეფანილი ტექსტი სიტყვებად

იქნება გადატანილი; **ტექსტის შემჭიდროება (Shrink to fit)**, რომლის დროსაც შეტანილი ტექსტი მთლიანად ავსებს უჯრედს მიუხედავათ მისი მოცულობისა, ანუ ტექსტის დიდი მოცულობის დროს – მცირდება ფონტის ზომა; **უჯრედის შერწყმა (Merge cells)**, რომლის დროსაც უჯრედი შეტანილი ტექსტის მოცულობის მიხედვით ცვლის ზომას, ანუ ტექსტის დიდი მოცულობის დროს – იმდება უჯრედი (და მაშასადამე მთლიანად ამ უჯრედის სვეტი).

დანარჩენი ჩანართები იდენტურია სხვა საოფისე პროგრამებში აღწერილი ჩანართებისა, რომლებიც ჟავა განხილულია მოცემულ ლექციათა კურსში.




ფორმატირების

მენიუს მეორე სტრიქონის **სტრიქონი (Row)** გააჩნია ქვემენიუ, რომელიც შესდგება ოთხი სტრიქონისაგან:

- **სიმაღლე... (Height...)**, რომლის გააქტიურებსას მონიტორის ეკრანზე გამოისახება ფანჯარა, რომელშიც მომხმარებელს ეძლევა საშუალება შეიტანოს მონიშნული სტრიქონის/სტრიქონების სიმაღლის მნიშვნელობა
- **ავტოშეგება (AutoFit)**, რომლის გააქტიურებისას მონიშნული სტრიქონის/სტრიქონების სიმაღლე სტრიქონში შემავალი უჯრედების შემცველი ტექსტის მაქსიმალური ზომის მიხედვით სწორდება
- **დამალვა (Hide)**, რომლის გააქტიურებისას მონიშნული სტრიქონი/სტრიქონები დაიმალვება
- **გამოჩენა (Unhide)**, რომლის გააქტიურებისას დამალული

სტრიქონი/სტრიქონები გამოჩნდება

ფორმატირების
მენიუს მესამე სტრი-
ქონს **სვეტი (Column)**
გააჩნია ქვემენიუ, რო-
მელიც შესდგება ხეთი
სტრიქონისაგან:



- **სიგანე... (Width...),**

რომლის გააქტიურებსას მონიტორის ეკრანზე გამოისახება ფან-
ჯარა, რომელშიც მომხმარებელს ეძღვავა საშუალება შეიტანოს
მონიშნული სვეტის/სვეტების სიგანის მნიშვნელობა

- **მონიშნულის ავტოშევსება (AutoFit Selection),** რომლის გააქტიუ- რებისას მონიშნული სვეტის/სვეტების სიგანე სვეტში შემავალი უჯრედების შემცველი ტექსტის მაქსიმალური ზომის მიხედვით სწორდება


- **დამალება (Hide),** რომლის გააქტიურებისას მონიშნული სვეტი/სვე- ტები დაიმალება

- **გამოჩენა (Unhide),** რომლის გააქტიურებისას დამალული სვე- ტი/სვეტები გამოჩნდება

- **სტანდარტული სიგანე... (Standard Width...),** რომლის გააქტიურე- ბისას მონიტორის ეკრანზე გახსნილ ფანჯარაში გმოისახება სვეტების სტანდარტული სიგანის ზომა

ფორმატირების მენიუს მეოთხე სტრიქონს **ცხრილი (Sheet)** გა-
აჩნია ქვემენიუ, რომელიც შესდგება ხეთი სტრიქონისაგან:

- **სახელის შეცვლა (Rename),** რომლის გააქტიურებსას პროგრამა დგება ცხრილის სახელზე და გვაძლევს მის რედაქტირების საშუალებას



- **დამალება (Hide)**, რო-
მლის გააქტიურები-
სას მონიშნული
ცხრილი/ცხრილები
დაიმალება
- **გამოჩენა... (Unhi-
de...)**, რომლის გაა-


ქტიურებისას დამალები ცხრილი/ცხრილები გამოჩნდება

- **უკანა ფონი... (Background...)**, რომლის გააქტიურებისას მონიტო-
რის ეკრანზე გამოისახება სურათის გახსნის ფანჯარა. შერჩეული
სურათი განთავსდება ცხრილის უკანა ფონში
- **ტაბის ფერი... (Tab Color...)**, რომლის გააქტიურებისას მონიტო-
რის ეკრანზე გამოისახება ფერის შერჩევის ფანჯარა. შერჩეული
ფერი განთავსდება ცხრილის სახელის უკანა ფონში


ფორმატირების მენიუს მეხუთე სტრიქონის **აფ-**

ცოფორმატირება... (AutoFormat...) გააქტიურებისას მომხმარებელს
ეძლევა საშუალება მონიშნულ დიაპაზონში გააკეთოს ავტოფორ-
მატირება, ანუ მონიტორის ეკრანზე გახსნილ ფანჯარაში შეარჩიოს
თუ როგორი ტიპის უნდა იყოს ცხრილი და, **ოპციების... (Options...)**
დილაკის გააქტიურებისას, მონიშნოს ავტოფორმატის რომელი
ფორმატირება უნდა იქნეს გამოყენებული:

- **კატეგორია (Number)**
- **საზღვრები (Border)**
- **ფონგი (Font)**
- **ფერის ჩასხმა (Patterns)**
- **გასწორება (Alignment)**
- **სიგანე/სიმაღლე (Width/Height)**




ფორმატირების მენიუს მექვსე სტრიქონის პირობითი ფორმატირება... (Conditional Formatting...) გააქტიურებისას მონიცორის ერანშე გამოიისახება პირობითი ფორმატირების ფანჯარა, რომელშიც მომხმარებელს ეძღვევა საშუალება მონიშნელ დიაპაზონში შემავალ უჯრედების მნიშვნელობას (Cell Value Is) ან ფორმულას (Formula Is) დაადლოს პირობა, რომლის შესრულებისას განხორციელდება



ფორმატირების... (Format...) ღილაკზე დაჭრისას გაკეთებულ ფორმატირებას. თუ მომხმარებელი გაააქტიურებს **დამატების (Add)** ღილაკს, მას ეძლევა საშუალება დამატებითი (მაქსიმალური რიცხვი არის სამი) პირობის დადებისა, ხოლო დადებული პირობისა და ფორმატირების გასაუქმებლად გამოიყენოს **წაშლის... (Delete...)** ღილაკი.


ფორმატირების მენიუს მეშვიდე სტრიქონის **სტილის... (Style...)** გააქტიურებისას მონიტორის ეკრანზე გამოისახება სტილების ფორმატირების ფანჯარა, რომელშიც მომხმარებელს ეძლევა საშუალება ჩამოსაშლელ მენიუში **სტილის სახელი (Style name)** შეარჩიოს სტილი, ხოლო **სტილის შემცველობაში (Style includes)** გამორთოს არასასურველი ფორმატირება ან, ღილაკი **მოდიფირება... (Modify...)** გააქტიურდების შემდეგ, შეცვალოს იგი.



მენიუ ინსტრუმენტები (Tools)

ინსტრუმენტების მენიუს ძირითადი სტრიქონები უკვე იქნა აღწერილი მოცემულ ლექციათა კურსში.

განვხილოთ ბოლო სტრიქონი **თვალისები...** (Options...), რომლის გააქტიურდებისას მონიტორის ეკრანზე გამოისახება ფანჯარა, რომელიც შეიცავს ცამეტ ჩანართს. განვიხილოთ ისინი და ავღნიშნოთ ძირითადი საკითხები.



პირველი ჩანართი **ჩვენება (View)** დაყოფილია ოთხ ნაწილად:

- **ჩვენება (View)**
- **კომენტარები (Comments)**
- **ობიექტები (Objects)**
- **ფანჯრის თვალისები (Windows Options)**

ჩანართის პირველ ნაწილში **ჩვენება** მომხმარებელს ეძლევა საშუალება მონიშნოს გამოჩნდეს თუ არა: საოფისე პროგრამა Excel-ის **ჩაგვირთვისას ამოცანათა პანელი (Startup Task Pane)**; **ფორმულის ბოლო (Formula bar)**; **სტატუსის ბოლო (Status bar)** და **ფანჯრების ამოცანათა ბოლო (Windows in Taskbar)**.

ჩანართის მეორე ნაწილში **კომენტარები** მომხმარებელს ეძღვავა საშუალება მონიშნოს გამოჩნდეს თუ არა **მხოლოდ კომენტარის ინდიკატორი (Comment indicator only)** ან **კომენტარიც და ინდიკატორიც (Comment & indicator)**.


ჩანართის მესამე ნაწილში **ობიექტები** მომხმარებელს ეძღვავა საშუალება მონიშნოს გამოჩნდეს თუ არა **ყველაფური (Show All)** (აქ იგულისხმება ობიექტები); გამოჩნდეს ობიექტის მაგივრად ნაცრისფერი ოთკეცედი **(Show placeholders)** ან **ყველაფური დაიმაღლოს (Hide All)** (აქ იგულისხმება ობიექტები).

ჩანართის მეოთხე ნაწილში **ფარჯრის ოპციები** მომხმარებელს ეძღვავა საშუალება მონიშნოს გამოჩნდეს თუ არა **გვერდის წყვეტები (Page breaks); ფორმულები (Formulas); ბადე (Gridlines)** (თუ მომხმარებელმა შეირჩია ბადის ჩვენება, მაშინ მას შეუძლია შეარჩიოს მისი ფერები (Colors)); **სტრიქონის და სეგის სათაურები (Row & column headers); გარე სიმბოლოები (Outline symbols); მნიშვნელობები ნული (Zero values); ჰორიზონტალური სასრიალო ბილიკი (Horizontal scroll bar); ვერტიკალური სასრიალო ბილიკი (Vertical scroll bar); ცაბების (Sheet tabs).**

მეორე ჩანართი **გადათველა (Calculation)** დაყოფილია 3 ნაწილად:

- **გადათველა (Calculation)**
- **იტერაცია (Iteration)**
- **სამუშაო წიგნის ოფციები (Workbook options).**

პირველ ნაწილში **გადათველა** მომხმარებელმა უნდა აირჩიოს მონაცემის ცვლილებისას ფორმულების გადათვლა პროგრამამ განახორციელოს ავტომატურად (**Automatic**); **ავტომატურად შერჩევა (Automatic except tables)**, რომლის დროსაც ცხრილში ფორმულების გადათვლა



შესრულდება **დათვლა ეხლა (Calc Now)** ან **F9** ღილაკზე დაჭერისას და **ხელოვნურად (Manual)**, რომლის დროსაც მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა გაააქტიუროს **გადათვლა ჩაწერამდე (Recalculate before save)**, ანუ ფაილის დამახსოვრების წინ შესრულოს გადათვლა.


მეორე ნაწილში **იფერაცია (Iteration)** ციკლური მიმართვის მქონე ფორმულების გამოთვლის ჩართვის შემთხვევაში (ანუ თუ ფორმულა შეიცავს მიმართვას თავისივე უჯრედზე), მომხმარებელს ეძლევა საშუალება მიუთითოს იფერაციის მაქსიმალური რაოდენობა და გამოთვლების ცდომილების სიზუსტე.

მესამე ნაწილში **სამუშაო წიგნის თვევიები (Workbook options)** არის რამოდენიმე ოპცია, რომელიც იქნება საჭირო იქნება მომხმარებლისათვის მონაცემებთან ურთიერთობისას:


- დაშორებული მონაცემების განახლება (**Update remote references**), ანუ გარე მიმართვის მონაცემებისაგან შემდგარი ფორმულების განახლება
- სიბუსტე როგორც ნაჩვენებია (**Precision as displayed**), ანუ ათწილადის წერტილის შემდეგ ნაჩვენები იქნეს 15 თანრიგი
- თარიღის სისტემა 1904 (**1904 date system**), ანუ ოპერაციული სისტემის თარიღის ათვლის დრო დაიწყება 1904 წლის 1 იანვრიდან (როგორც ეს არის **Apple Macintosh**-ის ოპერაციულ სისტემებში) და არა 1900 წლის 1 იანვრიდან (როგორც ეს არის **IBM**-ის ოპერაციულ სისტემებში)
- დამახსოვრება გაე გზავნლების მნიშვნელობების (**Save external link values**)
- ფორმულებში ურედების დიაპაზონის გამოყენება (**Accept labels in formulas**)

მესამე ჩანართი **რედაქტირება (Edit)** მოყვანილია რამოდენიმე **თვისება (Setting)**:

- **უჯრამი რედაქტირების უშალო რეჟიმი (Edit directly in cell)**
- **უჯრედის/უჯრედების გადატანა (Allow cell drag and drop)** თაგვის მეშვეობით კოპირების ან გადატანის შემთხვევაში და, აგრეთვე, რიცხვითი და ფორმულათა მწერივების შექმნისას. თუ, ამ შემთხვევაში, ჩასანაცვლებელ უჯრედში/უჯრედებში ჩაწერილია რაიმე ინფორმაცია, მაშინ უნდა მოინიშნოს სტრიქონი გაფრთხილება სანამ უჯრედზე გადაიწერება (**Alert before overwriting cells**), რათა ინფორმაცია არ დაიკარგოს
- **Enter-ის შემდეგ მონიშვნის გადაადგილების (Move selection after Enter) მიმართულება (Direction)** ჩამოსაშლელ სტრიქონში



- **ფიქსირებული წილადის (Fixed decimal) თანრიგის (Places)**
რაოდენობის მითითება
- **ობიექტების გადატანა, გადაწერა და დახარისხება დაკავშირებულ უჯრედებთან ერთად (Cut, copy, and sort objects with cells)**
განხორციელდეს
- **გარე კავშირების განახლებისას შეეკითხოს (Ask to update automatic links)** პროგრამამ დამოწმება
- **შეცვლის მოქმედები ანიმაციით (Provide feedback with Animation)** ჩატარდეს
- **უჯრები მნიშვნელობს ავტომატიზების ჩართვა (Enable AutoComplete for cell values).** ამ დროს თუ უჯრედში შეტანისას პროგრამამ იმავე სვეტში აღმოაჩინა მსგავსი ინფორმაცია, სთავაზობს მომხმარებელს ავტომატურ დასრულებას.



მეოთხე ჩანართი ძირითადი (General), რომელშიც მოყვანილია ძირითადი თვისებები (Settings) და ფუნქციები:

- **R1C1 მიმართვის სტილი (R1C1 reference style)**, ანუ, ჩვეულებისამებრ, სვეტების სახელები პროგრამა Excel-ში არის ანბანის ასოები (A, B, C,...), ხოლო სტრიქოების – ნაფურალური რიცხვები და, მაშასადამე, უჯრედების სახელია A5, B90, C23 და ა.შ.

ამ სტრიქონის გააქტიურებისას სვეტების და სტრიქონების სახელები არის რიცხვები და ამიტომ მათი სახელებიც იცვლება და, შესაბამისად, ხდება R5C1, R90C2, R23C3 და ა.შ., სადაც **R – სტრიქონია (Row)**, ხოლო **C – სვეტია (Column)**

- **სხვა პლიკაციების იგნორება (Ignore other applications)** მონაცემთა გაცვლისას და იქნეს მონაცემთა დინამიური გაცვლა (DDE)
- **ნაჩვენები იქნებს ბოლო გამოყენებული ფაილების სია (Recently**


- used file list)** იმ რაოდენობით, რომელიც შერჩეული იქნება მომხმარებლის მიერ გვერდზე მდებარე ფანჯარაში
- **სამუშაო წიგნის პირველად დამახსოვრებისას (Prompt for workbook properties)** გაიხსნება თვისებების (Properties) ფანჯარა
 - **შესრულებული მოქმედებების გახმოვანება (Provide feedback with sound)**
 - **თაგვის ბეჭა გორგოლაჟით ბომების შეცვლა (Zoom on roll with IntelliMouse)**
 - **ახალ სამუშაო წიგნში (Sheets in new workbook)** ცხრილების რაოდენობის მითითება გვერდზე მდებარე ფანჯარაში
 - **სტანდარტული ფონტის (Standard font)** სახელისა და **ზომის (Size)** მითითება პროგრამა Excel-ში
 - **შეთანხმებით ფაილის ღოკაციის (Default file location)** მითითება გვერდზე მდებარე ფანჯარაში, ანუ ფაილის დამახსოვრებისას თუ რომელი ფოლდერი გაიხსნას ფაილის დამახსოვრების ფანჯარაში
 - **ჩართვისას დამატებით რომელი ფაილები გაიხსნას (At startup, open all files in)** უნდა მიეთითოს გვერდზე მდებარე ფანჯარაში
 - **მომხმარებლის სახელი (User name)**

მეტეთ ჩანართი ცვლა (Transition), რომელშიც ხორციელდება ჩვეულებებისაგან ცვლა, დაყოფილია 3 ნაწილად.

პირველ ნაწილში მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა მიუთითოს თუ **Excel-ის ფაილი დაიმახსოვროს როგორც (Save Excel files as)** გვერდზე მდებარე ფანჯარაშია მოყვანილი.

მეორე ნაწილში მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა შეცვალოს **თვისებები:**

- **ღილაკი პროგრამის მენიუზე (Microsoft Office Excel menu key)** გადასასვლელად




- **გადაბადვილების ღილაკების ფუნქციონირება (Transition navigation keys)** აღტერნატიულად, ანუ როგორც პროგრამაში Lotus1-2-3.

მესამე ნაწილში მომხმარებელს ეძღვა შესაძლებლობა შეცვალოს **ცხრილის თანამდებობა:**

- **შეიცვალოს ფორმულის ჩაწერა (Transition formula evaluation)**
- **შეიცვალოს ფორმულის შეყვანა (Transition formula entry)**

მექქსე ჩანართი **დამატებითი სიები (Custom Lists)**, რომელ-შიც მოყვანილია **დამატებითი სიების (Custom Lists)** ჩამონათვალი, რომელიც შეიქმნება თაგვის მაჩვენებლით.

ამავე ჩანართში შესაძლებელია **(Add)** ღილაკის მეშვეობით **დაემატოს** შეცვანილი სია ან გვერდზე შერჩეული სია **იმპორტის (Import)** ღილაკის მეშვეობით.




მეშვიდე წანართი გრაფიკი (Chart) მომხმარებელს აძლევს გრაფიკებთან ურთიერთობის შესაძლებლობას და იგი შედგება ორ ნაწილისაგან.

პირველ ნაწილში მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა გააქტივირებულ გრაფიკში (Active chart) მიუთითოს, რომ გამოჩნდეს მხოლოდ შესებული უჯრედები (Plot visible cells only) და თუ შეუკეთელი უჯრედებიც უნდა გამოჩნდნენ, მაშინ მიუთითონ ცარიელი უჯრედები აღილება (Plot empty cells as):

- არ გამოჩნდნენ (Not plotted)
- ნული (Zero) გამოჩნდეს
- ურთიერთსაწინააღმდეგოდ გამოჩნდეს


მეორე ნაწილში მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა მიუთითოს გრაფიზე გამოჩნდეს თუ არა სახელები (Show names) და მნიშვნელობები (Show values).



შემდეგი ჩანართი ფერი (Color), რომელშიც მომხმარებელმა



უნდა მიეთითოს **სტანდარტული ფერები (Standard colors)**, **გრაფიკის ჩასხმის ფერი (Chart fills)** და **გრაფიკის ხაზის ფერი (Chart lines)**.




შემდეგი ჩანართი **საერთაშორისო (International)**, რომელიც 3 ნაწილისაგან შესდგება.

პირველ ნაწილში **რიცხვების დაყენება (Number handling)** მომხმარებელმა უნდა მიეთითოს **ათწილადის გამყოფი (Decimal separator)** და **ათასეულების გამყოფი (Decimal separator)** სიმბოლო ან ჩართოს **სისტემის გამოყენებული გამყოფების (Use system separators)** გამოყენება.

მეორე ნაწილში **ბეჭდვისას (Printing)** მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა მიეთითოს **ფურცლის A4/Letter-ის ზომის გამოყენება (Allow A4/Letter paper resizing)**.

რაც შეეხება მესამე ნაწილს, აქ მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა გამოიყენოს **გარჯვნიდან-მარცხნივ (Right-to-left)** დამწერ-

ლობის ოფციები (რაც, ალბათ, ქართველ მკითხველს არ გამოადგება).




შემდეგი ჩანართი შენახვა (Save) შედგება ორ ნაწილისაგან.

ჩანართის პირველ ნაწილში თვისებები (Setting) მომხმარებელს ეძლევა საშუალება მიუთითოს თუ შენახვა ავტოაღდგენისათვის ყოველ (Save AutoRecover into every) რამდენ წუთში (minutes) განხორციელდეს და ავტოაღდგენის შენახვის ლოკაციის (AutoRecover save location) აღვილმდებარეობის.

ჩანართის მეორე ნაწილში სამუშაო წიგნის ოფციები (Workbook options) მომხმარებელს ეძლევა საშუალება გათიშოს ავტოაღდგენს (Disable AutoRecover).

შემდეგი ჩანართი შეცდომების ჩასწორება (Error Checking) შედგება ორ ნაწილისაგან.

ჩანართის პირველ ნაწილში თვისებები (Setting) მომხმარე-




ბელს შეუძლია ჩართოს უკანა ფონში შეცდომების ჩასწორება (Enable background error checking) და მიუთითოს შეცდომების ინდიკატორის ფერი (Error Indicator Color).

ჩანართის მეორე ნაწილში **წესები (Rules)** შესაძლებელია მიეთითოს თუ რომელ წესების დარღვევისას უნდა დაფიქსირდეს შეცდომა.

შემდეგი ჩანართი **ორფოგრაფია (Spelling)** შედგება ორ ნაწილისაგან.

ჩანართის პირველ ნაწილში **ორფოგრაფია (Spelling)** შესაძლებელია მიეთითოს **ლექსიკონის ენა (Dictionary language)** და რომელ ფაილში განხორციელდეს **სიტყვების დამატება (Add words to)**. ასევე ამ ნაწილში შეიძლება მიეთითოს:

- **შეთავაზოს მხოლოდ ოფისის ლექსიკონიდან (Suggest from main**




dictionary only) შემოწმება

- იგნორირება გაუკეთოს სიტყვებს მაღალ რეგისტრში (Ignore words in UPPERCASE)
- იგნორირება გაუკეთოს რიცხვებიან სიტყვებს (Ignore words with numbers)
- იგნორირება გაუკეთოს ინტერნეტ და ფაილების მისამართებს (Ignore Internet and file addresses)

ჩანართის მეორე ნაწილში **სპეციფიური ენები (Language-specific)** მომხმარებელს ეძლევა საშუალება მიუთითოს სპეციფიური ენების ოფციები.

შემდეგი ჩანართში **დაცვა (Security)** ძირითადად გამოიყენება Excel-ის წიგნისა და ავტორზე ინფორმაციის დაცვისათვის.


აქ მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა დაცენოს ფაილის



დაცვის ფუნქციები, როგორიც არის **პაროლი გახსნისას** (Password to open); **პაროლი ცვლილებისას** (Password to modify), რომლის დროსაც ფაილი გაიხსნება, მაგრამ ცვლილებებისათვის საჭიროა პაროლის მითითება; **ციფრული ხელმოწერა...** (Digital Signatures...); **შენახვისას ფაილის თვისებებიდან პერსონალური ინფორმაციის ამოშლა** (Remove personal information from file properties on save) და **მაკრო დაცვა...** (Macro Security...), სადაც ძირითადად უნდა დაყენდეს დაცვა მაკროსის ვირუსებისაგან, რომლებიც თანდართული სახით ინერგება Excel-ის ფაილში.

მენიუ მონაცემი (Data)

მონაცემის მენიუს პირველი სტრიქონის **სორტირება...** (Sort...) გააქტიურებამდე მომხმარებელმა უნდა მონიშნოს მონაცემები, რომლიც სორტირებაც მას უნდა და ამის შემდეგ გაააქტიუროს იგი. სტრიქონის გააქტიურების შემდეგ მონიტორის ეკრანზე გამოისახება



ფანჯარა, რომელშიც მომარებელს აქვს შესაძლებლობა მიუთითოს სამამდე სვეტი, რის მიხედვითაც უნდა გაკეთდეს სორტირება და სათითოდ მიუთითოს თუ **ზრდადობის (Ascending)** თუ **ქლებადობის (Descending)** მიხედვით უნდა განხორციელდეს იგი. აგრეთვე ამ ფანჯარაში მომხმარებელს ეძღვავა შესაძლებლობა მიუთითოს **მონაცემთა მიმდევ**.

რობას გააჩნიათ (My


data range has) სათაუ-

რის სტრიქონი (Header row) თუ არა (No header row).

თუ მომხმარებელმა გააძტიურა **ოფციების... (Options...)** დოლაკი, მონიტორის ეპრანზე გამოისახება ფანჯარა, რომელშიც მიეთება **სორტირების**



გასაღები (First key sort order), მგრძნობიარობა რეგისტრზე (Case sensitive) (ეს თვისება განსაკუთრებულით საჭიროა ქართული ფონტებისათვის,



რადგან ერთიდაიგივე ღილაკზე სხადასხვა რეგისტრზე არიან განთავსებულნი სხვადასხვა ასოები: მაგ., თ და ტ, წ და ჭ, ც და ჩ, ს და შ, ჯ და ჟ) და **ორიენტაცია (Orientation)**, რომელშიც უნდა მიეთითოს თუ რითი უნდა გაკეთდეს მონაცემთა სორტირება – **გვიდან ქვევით (Sort top to bottom)** ან **მარცხნიდან მარჯვნივ (Sort left to right)**.

მონაცემის მენიუს მეორე სტრიქონის **ფილტრი (Filter)** გააქტიურებისას მონიტორის ეკრანზე იხსნება ქვემენი, რომლის პირველი სტრიქონია **ავტოფილტრი (AutoFilter)**. მისი გააქტიურებისას მონაცემების პირველი სტრიქონის უჯრედების მარჯვენა მიდამოში აისახება ჩამოშლის ღილაკი. მისი გააქტიურებისას ჩამოიშლება ქვემენი, რომელშიც, სვეტის გასაფილტრი მონაცემების გარდა, არის, აგრეთვე, სორტირების **გრძელობა (Ascending)** თუ **კლებადობა (Descending)**, **ყველას (All)** გამოჩენა, **ზედა 10-ის... (Top 10...)** გამოჩენა, **ცარიელების (Blanks)** გამოჩენა, **არაცარიელების (NonBlanks)** გამოჩენა და **შერჩევითი... (Custom...)** გამოჩენა.



დამატებითი ავტოფილტრის სტრი-



ქონის გააქტიურებსას მონიტორის ექრანზე გამოსახება ფანჯარა, რომელშიც მომხმარებელს შეუძლია შეიტანოს ორი პირობა, რომლების ლოგიკური **და (And)** ან **ან (Or)** იქნებიან დაკავშირებული. ჩამოსაშლელ პირობაში არის სტრიქონები:

- **უდრის (equals)**
- **არ უდრის (does not equal)**
- **მეტია ვიდრე (is greater than)**
- **მეტია ან ტოლი ვიდრე (is greater than or equal to)**
- **ნაკლებია ვიდრე (is less than)**
- **ნაკლებია ან ტოლი ვიდრე (is less than or equal to)**
- **იწყება -დან (begins with)**
- **არ იწყება -დან (does not begin with)**
- **მთავრდება -მდე (ends with)**
- **არ მთავრდება -მდე (does not end with)**
- **შეიცავს (contains)**
- **არ შეიცავს (does not contain)**

განვიხილოთ მონაცემის მენიუს სტრიქონი **გალიდურობა...**

(Validation), რომლის გააქტიურებისას მონიცორის ეკრანზე გამოისახება სამ ჩასმიანი ფანჯარა **მონაცემთა ვალიდურობა (Data Validation)**.

პირველი ჩასმა **თვისებებში (Settings)**, მომხმარებელს შეუძლია მიუთითოს **ვალიდურობის კრიტერია (Validation criteria)**, ანუ **დაშვებაში (Allow)** მიუთითოს თუ რა პირობა და **მონაცემში (Data)** რომელ მონაცემზე სრულდებოდეს კრიტერია. აგრეთვე მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა მიუთითოს გაუკეთოს **იგნორირება ცარიელ უჯრედს (Ignore blank)** თუ არა.




მეორე ჩასმა **შეტანის შეტყობინებაში (Input Message)** არის შესაძლებლობა მიეთითოს, რომ გამოჩნდეს შეტანის შეტყობინება როდესაც მოინიშნება უჯრედი/ უჯრედები (Show input message).



when cell is selected), ხოლო **სათაურში (Title)** და **შეცანის შეცყობილებაში (Input message)** შეიტანოს შესაბამისი ინფორმაცია.

მესამე ჩასმა **შეცლომის განვაში (Error Alert)** მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა მიუთითოს **გამოჩნდეს შეცლომის განვაში არასწორი მონაცემის შეტანის შემდეგ (Show error alert after invalid data is entered)**, ხოლო **სტილში (Style)** (საღაც უნდა შეირჩეს ქმედება თავისი ნახატით: **გაჩერება (Stop)**, **გაბრთხილება (Warning)** და **საინფორმაციო (Information)**), **სათაურში (Title)** და **შეცლომის შეცყობილებაში (Input message)** შეიტანოს შესაბამისი ინფორმაცია.

მონაცემის მენიუს სტრიქონი **გარე მონაცემთა იმპორტი (Import external data)**, რომლის გააქტიურებისას მონიტორის ეკრანზე გამოისახება ფანჯარა, რომელშიც მომხმარებელმა უნდა შეარჩიოს



თუ რომელი პროგრამის რა მონაცემებს უნდა გაუკეთდეს იმპორტი და შემდეგ მიუთითოს ადგილი თუ სად უნდა განთავსდეს იმპორტი-რებული მონაცემები.

მონაცემის მენიუს დანარჩენი სტრიქონები უფრო დაწვრილებით განხილული იქნებიან ამ ლექციათა კურსის მომდევნოში.

მენიუ ფანჯარა (Window)

ფანჯრის მენიუს პირველი სტრიქონი ახალი ფანჯარა (New Window) მომხმარებელს აძლევს საშუალებას გახსნას ახალ ფანჯარაში იგივე წიგნი.

ფანჯრის მენიუს შემდეგი სტრიქონის დაღაგება... (Arrange...) მექვეობით მომხმარებელი ყველა გახსნილ წიგნს განათავსებს მონიტორის ეკრანზე.




ფანჯრის მენიუს შემდეგი
სტრიქონის **შედარება გვერდ-გვერ-
დით -თან... (Compare Side by Side
with...)** მეშვეობით მომხმარებელს
ეძლევა საშვალება შეადაროს წიგ-
ნის მონაცემები სხვა მონაცემებთან.
ფანჯრის მენიუს შემდეგი ორი
სტრიქონის **დამაღვის (Hide)** და **გა-
მოჩენის (Unhide)** მეშვეობით მომხ-
მარებელს ეძლევა საშვალება დამაღლოს და გამოაჩინოს წიგნი.

ფანჯრის მენიუს შემდეგი სტრიქონი **გახლეჩა (Split)** მომხმა-
რებელს აძლევს საშუალებას გახლითის წიგნი ორ/ოთხ ნაწილად
(თუ გახლეჩისას გააქტივირებული იყო პირველი სტრიქონი, გახლე-
ჩა განხორციელდება მხოლოდ სვეტით, ხოლო თუ გახლეჩისას გააქ-
ტივირებული იყო პირველი სვეტი, გახლეჩა განხორციელდება მხო-
ლოდ სტრიქონით, დანარჩენ შემთხვევაში გახლეჩა განხორციელდე-
ბა როგორც სვეტით, ასევე სტრიქონით) და აწარმოოს ფორმატი-
რება წიგნის სხვადასხვა ადგილში.

ფანჯრის მენიუს შემდეგი სტრიქონი **პანელების გაყინვა (Free-
ze Panes)** მომხმარებელს აძლევს საშუალებას გაყინოს წიგნი შერ-
ჩეული სათაური (როგორც სვეტებად, ასევე სტრიქონებად) და ათვა-
ლიეროს დანარჩენი ინფორმაცია (თუ გაყინვისას გააქტივირებული
იყო პირველი სტრიქონი, გაყინვა განხორციელდება მხოლოდ სვეტის
სათაურით, ხოლო თუ გაყინვისას გააქტივირებული იყო პირველი
სვეტი, გაყინვა განხორციელდება მხოლოდ სტრიქონის სათაურით,
დანარჩენ შემთხვევაში გაყინვა განხორციელდება სვეტისა და, ასე-
ვე, სტრიქონის სათაურით).

მენიუ დახმარება (Help)

დახმარების მენიუ განკუთვნილია მომხმარებლისათვის საჭირო დამხმარების გასაწევად Excel-ის ყოველგვარ საკითხზე, შესაძლებელია დამხმარე ასისტენტის ოპციების შეცვლა/დაყენება და ბოგადი ინფორმაციის მიღება Excel-ის პროგრამულ უზრუნველყოფაზე. ასევე აქ განთავსებულია პროგრამის განახლების, გააქტიურებსა და განკურნების საშუალებები.



ფორმატები

ნებისმიერი ფორმატის შესაქმნელად აუცილებელია მომხმარებელმა იცოდესის სპეციალური სიმბოლოები, რის მეშვეობითაც ყალიბდება ფორმატი. ფორმატები არიან რამოდენმეტი ტიპის: რიცხვითი, თარიღისა და დროის, ფერების და სხვ.

ფორმატები შეიძლება შედგებოდნენ თთხი სექციისაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან წერტილმდიმით უნდა გამოიყვნენ: დაბეჭითი ფორმატი; უარყოფითი ფორმატი; ნულოვანი ფორმატი; ტექსტური ფორმატი განვიხილოთ ძირითადი ფორმატები.

რიცხვითი ფორმატები

რიცხვითი ფორმატის შექმნისათვის გამოიყენება შემდეგი სიმბოლოები:

– მოქმედებს, როგორც შემვსები ციფრებისათვის. ეკრანზე ასახავს რიცხვის მნიშვნელობას. არანიშნადი ნულები არ აისახება. ათწილადის დამრგვალება ხორციელდება მძიმის შემდეგ # სიმბოლოების რაოდენობის შესაბამსად. მაგ., # ####.## ფორმატით რიცხვი

1234,567 აისახება როგორც 1 234.57.

0 – მოქმედებს, როგორც შემცხები ციფრებისათვის. ეკრანზე ასახავს რიცხვის მნიშვნელობას. არანიშნადი ნულები აისახება. ათწილადის დამრგვალება ხორციელდება მძიმის შემდეგ 0 სიმბოლოების რაოდენობის შესაბამსად. მაგ., # ##0.000 ფორმატით რიცხვი 12,34 აისახება როგორც 12.340.

? – მოქმედებს ისე, როგორც სიმბოლო 0. არანიშნადი ნულები შეიცხება “ცარიელი” სიმბოლოთი. ამ სიმბოლოს გამოყენება ძირითადად ხორციელდება წილადებში. მაგ., #' ??/?? ფორმატით რიცხვი 12,25 აისახება როგორც 12 1/4.

_ (ქვეშხაზგასმა) – ამ სიმბოლოს მარჯვნივ მდებარე სიმბოლოს ფოლ დაშორებას.

. (ათწილადის გამყოფი) – მიუთითებს ათწილად რიცხვებში მძიმის მდებარეობას. სისტემისაგან გამომდინარე შეიძლება წერტილი იქთს ან მძიმე.

რიცხვის თანრიგის გამყოფი – რიცხვს ყოფს თანრიგების ჯგუფად. სისტემიდან გამომდინარე ძირითადად ეს სიმბოლო “ცარიელია”.

% – რიცხვს ამრავლებს 100-ზე და ასახავს მას პროცენტის სიმბოლოსთან, მაგრამ თუ უჯრედი წინასწარ არის დაფორმატებული, 100-ზე გამრავლება არ ხორციელდება.

E, E+, e-, e+ – რიცხვს ასახავს ექსპონენციალური ფორმით. E ან e აისახება იმის მიხედვით თუ რომელიც არის დაწერილი ფორმატში, ხოლო თუ მარჯვნივ + ნიშანი უწერია დადებით რიცხვებსაც ეწერება +, ხოლო თუ მარჯვნივ - ნიშანი უწერია დადებით რიცხვებს არაფერი არ ეწერება. ნიშნის მარჯვნივ 0 ან # სიმბოლოების რაოდენობა განსაზღვრავს ხარისხის ნიშანს.

/ – წილადის ნიშანი.

**** – ნიშანი დაისმება იმ სიმბოლოს წინ, რომლის ჩართვაც ფორმატში სურს მომხმარებელს. მაგ., #’??/??\D ფორმატით რიცხვი 12,25 აისახება როგორც 12 1/4D.

“ ” – ასახავს ბრჭყალებს შორის მოთავსებულ ტექსტს. მაგ., #’??/??”ლარი” ფორმატით რიცხვი 12,2 აისახება როგორც 12 1/5ლარი.

***** – უჯრედის თავისუფალ ნაწილს შეავსებს *-ის შემდეგ მითითებულ სიმბოლოთი.

@ – ფორმატში მიუთითებს იმ ადგილს, სადაც უნდა აისახოს უჯრედში შეტანილი ტექსტი. მაგ., თუ უჯრედის ფორმატია “ინფორმაციული” @, ხოლო ამ უჯრედში მომხმარებელი ჩაწერს სიტყვას გეგმითოვიები, შეტანის შედეგად გამოისახება – ინფორმაციული გეგმითოვიები.

[] – უჯრედში ასახავს ფრჩხილებს შორსის მთითებულ ფერს. მაგ., [RED] უჯრედში ასახავს წითელ ფერს.

[პირობა] – უჯრედში ასახავს რიცხვებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ფრჩხილებს შორსის მთითებულ პირობას. მაგ., [>=1000] უჯრედში ასახავს მხოლოდ რიცხვებს, რომლებც იქნებან 1000-ზე მეტი ან ტოლი.

რიცხვითი ფორმატები შედგებიან სამი სექციისაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან წერტილმდიმით უნდა გამოიყენონ:

დადებითი ფორმატი; უარყოფითი ფორმატი; ნულოვანი ფორმატი
განვიხილოთ 1234-ის გამოსახვის მაგალითები:

ფორმატი	დადებითი	უარყოფითი	ნოლი
#####;(#####);	1234	(1234)	ცარიელია

#####; “ნოლი”	1234	ცარიელია	ნოლი
;#####;	ცარიელია	(1234)	ცარიელია
[RED]#####;[GREEN]#####;	1234	(1234)	ცარიელია
[RED]>1000]#####;[GREEN]#####;	1234	(1234)	ცარიელია

ფერის ფორმატის შედეგისას მომხმარებელს აქვს შესაძლებელობა მიუთითოს ფერის ნომერი (მაგ., [Color 1]), სადაც ნომერი მომხმარებელმა შეიძლება აიღოს ფერის პალიტრიდან (ნუმერაცია იწყება მარცხენა ზედა კუთხიდან მარჯვნივ...).

თარიღისა და დროის ფორმატები

თარიღის ფორმატის შექმნისათვის გამოიყენება შემდეგი სიმბოლოები:

d – დღის რიცხვი 1-დან 31-მდე

dd – დღის რიცხვი 01-დან 31-მდე

ddd – კვირის დღის შემოკლებული დასახელება

dddd – კვირის დღის სრული დასახელება

m – თვის ნომერი 1-დან 12-მდე

mm – თვის ნომერი 01-დან 12-მდე

mmm – თვის შემოკლებული დასახელება

mmmm – თვის სრული დასახელება

yy – წლის ბოლო ორი ციფრი 00-დან 99-მდე

yyy – წლის ოთხივე ციფრი

— – თარიღის ელემენტებს შორის დეფისის მოთავსება

. – თარიღის ელემენტებს შორის წერტილის მოთავსება

/ – თარიღის ელემენტებს შორის /-ის მოთავსება

: – თარიღის ელემენტებს შორის :-ის მოთავსება

დროის ფორმატის შექმნისათვის გამოიყენება შემდეგი სიმბო-

ლოგიკი:

h – საათი 0-დან 24-მდე

hh – საათი 00-დან 24-მდე

m – წუთი 0-დან 59-მდე

mm – წუთი 00-დან 59-მდე

s – წამი 0-დან 59-მდე

ss – წამი 00-დან 59-მდე

[] – საათები, რომლებიც აღემატებიან 24-ს ან წუთები და წა-
მები, რომლებიც აღემატებიან 59-ს

AM, am, PM, pm, A/P, a/p – დროის ასახვა 12 საათიან სისტე-

მაში

: – დროის ელემენტებს შორის : -ის მოთავსება

მიმდინარე უჯრედში თარიღის ან დროის ჩასმისათვის მომხ-
მარებელს ეძღვავა შესაძლებლობა გამოიყენოს შემდეგი დილაქების
კომბინაცია:

Ctrl + ; – მიმდინარე თარიღის ჩასმა

Ctrl + : – მიმდინარე დროის ჩასმა

Ctrl + Shift + @ – **h:mm** ფორმატის მიცემა

Ctrl + Shift + # – **dd.mm.yyyy** ფორმატის მიცემა

განვიხილოთ 22585-ის (რომელიც არის 1961 წლის 31 ოქტო-
მბერი) გამოსახვის მაგალითები:

ფორმატი	სახე
dd/mm/yy	31/10/61
d mmmm, yyyy	31 ოქტომბერი 1961
[Red] [>20000] d mmm	31 ოქტ

ფორმულები

Microsoft Excel-ში ფორმულები წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს იარაღს და ისინი აძლევენ დიდ უპირატესობას ტექსტურ რედაქტორებთან შედარებით (რომლებსაც თვითონ გააჩნიათ ცხრილებს შედგენის საშუალება). მაგრამ Microsoft Excel-ს გარდა მარტივი გამოთლებისა, შეუძლია ურთულესი გამოთვლების (სტატისტიკური, ფინანსური) ჩატარებაც.

Microsoft Excel-ში მომხმარებელს შეუძლია შეიტანოს ფორმულა როგორც უჯრედში, ასევე ფორმულის სტრიქონში. ფორმულა უნდა იწყებოდეს = (ტოლობის) სიმბოლოთი ან ფორმულის სტრიქონში გააქტიურდეს = (ტოლობის) ღილაკი ფორმულის რედაქტირება (Edit Formula). ფორმულის შეფანის დასრულება მომხმარებელს შეუძლია როგორც კლავიატურაზე განთავსებულ Enter-ის ღილაკით, ასევე ფორმულის სტრიქონში განთავსებულ ღილაკ *v* (Enter-ის) მეშვეობით.

ოპერატორები

ფორმულებში გამოიყენება მრავალი ოპერატორი, მაგრამ ყველანი ისინი იყოფიან ოთხ ძირითად ჯგუფად:

არითმეტიკული ოპერატორები

+	შეკრება
-	გამოკლება
*	უარყოფითი რიცხვი
/	გაყოფა

%	პროცენტი
^	ახარისხება

ტექსტური ოპერატორები

&	ტექსტის გაერთიანება, ანუ კონკაცენტრაცია (მაგ., "ინფორ" & "მატიკა" - ინფორმატიკა)
&	უჯრედების ტექსტის გაერთიანება (მაგ., A15-ში "ინფორ", B15-ში "მატიკა", მაშინ A15&B15 - ინფორმატიკა)

შეღარების ოპერატორები

=	ტოლობა
<	ნაკლებია
>	მეტია
<=	ნაკლები ან ტოლია
>=	მეტი ან ტოლია
<>	არ უდრის

სამისამართო ოპერატორები

:	დიაპაზონი (მაგ., SUM(A1:A15) – A1-დან A15-მდე უჯრედების ჯამი)
,	გაერთიანება (მაგ., SUM(A1:A15,A27) – A1:A15 დიაპაზონისა და A27 უჯრედის ჯამი)

"ცარიელი"	თანაკვეთა (მაგ., SUM(A1:A15 A10:A27) – A10:A15 დიაპაზონის უჯრედის ჯამი)
-----------	-------------------------------------------------------------------------------

თპერაციების შესრულების თანმიმდევრობა

:	დიაპაზონი
"ცარიელი"	თანაკვეთა
,	გაერთიანება
-	უარყოფა
%	პროცენტი
^	ხარისხი
* და /	გამრავლება და გაყოფა
+ და -	შეკრება და გამოკლება
&	კონკაცენტრაცია
= < <= > >= <>	შედარება

შეცდომები

#####	ფორმულის შედეგი არ ეტევა უჯრედში
#DIV/0!	ნულზე გაყოფის შედეგი
#N/A	ფორმულაში შემავალ უჯრედში არ არის საჭირო ინფორმაცია

#NAME?	ფორმულაში შემავალი უჯრედის სახელი არ არსებოს ან ტექსტი არ არის ჩასმული ბრჭყალებში
#NULL!	ფორმულაში ორი არათანამკვეთი დიაპაზონია ან არე
#NUM!	რიცხვითი არგუმენტი გადასცდა დასაშვებ მნიშვნელობას
#REF!	ფორმულაში არარსებული დიაპაზონია
#VALUE!	მათემატიკურ ფორმულა მიმართავს ტექსტურ ცვლადს

ფუნქციები

MS Excel-ში ფუნქციები აწარმოებენ განსაზღვრული ტიპის მოქმედებებს იმ მონაცემებზე, რომლებიც მათ გადაეცემათ არგუმენტის სახით. მოქმედების შედეგად ფუნქცია, ძირითადად, აბრუნებს რიცხვს, მაგრამ შესაძლებელია, აგრეთვე, შედეგი იყოს ტექსტი, ლოგიკური მნიშვნელობა, მასივი, ან ინფორმაცია სამუშაო ფურცელზე.

არგუმენტი

არგუმენტი განლაგებულია ფუნქციის დასახელების შემდეგ და მოთავსებულია ფრჩხილებში. ყოფელ ფუნქციას გააჩნია განსაზღვრული ტიპის არგუმენტი, რომელიც აუცილებელია მოცემულ ფუნქციისათვის. არგუმენტი შეიძლება იყოს რიცხვი, უჯრაზე/უჯრედებზე მიმართვა, ტექსტი, თარიღი ან ლოგიკური მნიშვნელობა.

Text	ტექსტი
Value	მნიშვნელობა
Number	რიცხვი

Reference	უჯრაზე მიმართვა
Serial Number	თარიღი ან დრო რიცხვით ფორმატში
Logical	ლოგიკური მნიშვნელობა
Array	მასივი

არგუმენტი შეიძლება იყოს აუცილებელი ან არააუცილებელი. ფუნქცია აუცილებელი არგუმენტის სახით ღებულბოს იმ ინფორმაციას, რომლის გარეშეც ფუნქცია ვერ იმუშავებს, ხოლო არააუცილებელი არგუმენტის გარეშეც ფუნქცია გვაძლევს გვაძლევს შედეგს და, მაშასადამე, იგი არააუცილებელია.

ერთ ფუნქციას შესაძლებელია გააჩნდეს რამოდენიმე არგუმენტი და ისინი ერთმანეთისაგან გამოყოფილნი უნდა იყვნენ იმ სიმბოლოთი, რომელიც მითითებულია სისტემის ოფციების რეგიონალურ თვისებებში (ძირითადად, ეს შეიძლება იყოს წერტილი ან წერტილ-მიმებ). “ცარიელი” სიმბოლოს მოხმარება არ შეიძლება იხმარებოდეს გამყოფად. ტექსტი (თუ იგი სახელი არა არა) აუცილებლად უნდა იყოს ჩასმული ბრჭყალებში. უჯრაში ჩაწერილი ტექსტერი ინფორმაციის მაქსიმალური სიგრძე შეადგენს 255 სიმბოლოს.

ფუნქციის შეტანა და რედაქტირება

ფუნქცია შესაძლებელია იყოს როგორც ფორმულის ნაწილი, ასევე ხვა ფუნქციის არგუმენტი (მაგ., $SQRT(SUM(A1:A15))$). ფუნქციის შეტანა შესაძლებელია პირდაპირ უჯრედში ან ფორმულის სტრიქონში კლავიატურის მეშვეობით, მაგრამ უფრო ეფექტურია მომხმარებელმა f_x ფუნქციის დილაკი, რომლის მეშვეობითაც

გამოიძახება გამოიძახება **ფუნქციის ჩასმის (Insert Function)**




ფანჯარა.

მოცემულ ფანჯარაში მომხმარებელს ეძღვა საშუალება ჩამოსაშლელ სტრიქონში **შეირჩიოს კატეგორია (Or select a category)**, ხოლო შემდეგ თვით ფუნქცია შეარჩიოს **(Select a function)**.

ფანჯრის ქვედა ნაწილში მითითებულია მინიშნული ფუნქციის აგებულება და, ასევე, დახმარება თუ როგორ უნდა აიგოს მოცემული ფუნქცია.

ფუნქციის შერჩევის შემდეგ მონიტორის ეკრანზე გამოისახება **ფუნქციის არგუმენტების (Function Arguments)** ფანჯარა, რომელშიც მომხმარებელს ეძღვა საშუალება შეიტანოს ყველა არგუმენტი და დააჭიროს დილაკს OK.



ფუნქციის რედაქტირებისათვის არსებობს ორი გზა: მომხმარებელმა უნდა გაააქტიუროს ფორმულის სტრიქონში განთავსებული f_x ფუნქციის ღილაკი და მონიტორის ეკრანზე გამოისახება ფუნქციის არგუმენტის ფანჯარა ან სასურველი უჯრედის გააქტიურების შემდეგ მომხმარებელმა უნდა დააჭიროს კლავიატურის ღილაკს F2 (ან პრდაპირ ფორმულების სტრიქონზე თაგს ძირითად ღილაკს) და აწარმოოს პირდაპირ კლავიატურით არგუმენტის კორექტირება.

განვიხილოთ თვით ფუნქციები კატეგორიების მიხედვით.

მათემატიკური ფუნქციები

SUM(number1, number2,...)	არგუმენტის ჯამი
---------------------------	-----------------

FACT(number)	არგუმენტის ფაქტორიალი
POWER(number, exponent)	რიცხვის ხარისხი მაჩვენებელში
PRODUCT(number1, number2,...)	არგუმენტების ნამრავლი
ROMAN(number, form)	რომაული რიცხვებში გადაყვანა ფორმით
ROUND(number, num-digits)	რიცხვის დამრგვალება სიზუსტით
ROUNDUP(number, num-digits) ROUNDDOWN(number, num- digits)	რიცხვის დამრგვალება ზედა და ქვედა სიზუსტით
SQRT(number)	კვადრატული ფესვი რიცხვიდან
SUMIF(range, criteria, sum- range)	range დიაპაზონიდან რომლებიც აკმაყოფილებაენ criteria-ს შესაბამისს sum-range დიაპაზონის რიცხვების აჯამვა
AVERAGE(number1, number2,...)	არგუმენტების საშუალო არითმეტიკული
COUNT(value1, value2,...)	რიცხვითი არგუმენტების რაოდენობა
COUNTA(value1, value2,...)	არაცარიელი არგუმენტების რაოდენობა
MAX(number1, number2,...)	არგუმენტების მაქსიმუმი

MIN(number1, number2,...)	არგუმენტების მინიმუმი
---------------------------	-----------------------

თექსტური ფუნქციები

TEXT(value, format text)	რიცხვითს გარდაქმნის ტექსტში აღნიშნული ფორმატით
LEN(text)	ტექსტში შემავალი სიმბოლოების რაოდენობა
LOWER(text)	ტექსტში შემავალი სიმბოლოების დაბალ რეგისტრში გადაყვანა
UPPER(text)	ტექსტში შემავალი სიმბოლოების მაღალ რეგისტრში გადაყვანა
T(value)	თუ არგუმენტი ტექსტია, შეღეგიც ტექსტია. წინაამდღევ შემთხვევაში — "ცარიელი"

თარიღისა და დროის ფუნქციები

DATE(year, month, day)	დღეების რაოდენობა 1900 წლის 1 იანვრიდან
TDATE(), TODAY(), NOW()	მიმღინარე თარიღი, დრო
YEAR(serial-number)	რიცხვები გადაყავს წელში
MONTH(serial-number)	რიცხვები გადაყავს თვეში
WEEKDAY(serial-number, return-type)	რიცხვები გადაყავს კვირის დღეში

ლოგიკური ფუნქციები

IF(logical-test, value-if true, value-if-false)	თუ პირობა სრულდება, შედეგი მეორე არგუმენტია, თუ არა – მესამე
AND(logical1; logical2;...)	თუ ყველა ჭეშმარიტია შედეგიც ჭეშმარიტია, თუ არა – მცდარი
OR(logical1; logical2;...)	თუ ყველა მცდარია შედეგიც მცდარია, თუ არა – ჭეშმარიტი
NOT(logical)	თუ მცდარია შედეგი ჭეშმარიტია, თუ არა – მცდარი
TRUE()	იძლევა ჭეშმარიტ შედეგს
FALSE()	იძლევა მცდარ შედეგს



AI TABEÉÉÓ BAEÉÉaÉÓ DATAAA 11 TATAOAAAÉÓ ÄYI ÄETAAA:

- ÓÀ ÄOÉÓ 11 TAYAÌÈÀ ÁÀÆÀ, 11 TAYAÌÈÀ YÁOÉÉÉ, 11 TAYAÌÈ
- ÁaÀÈÉ 11 TAYAÌÈÀ ÁÀÆÉÓ ÜÄØÌÍÀ
- ÁaÀÈÉ YÁOÉÉÉÓ ÜÄØÌÍÀ
- ÁaÀÈÉ 11 ÈaÌ ÁÍÉÓ ÜÄØÌÍÀ
- ÁaÀÈÉ AEÖAÍOÉÉ x1 ÖIÉÓ ÜÄØÌÍÀ
- ÁaÀÈÉ OAÁÄaÄÉ x1 ÖIÉÓ ÜÄØÌÍÀ
- x1 ÖIÉÓ (AEÖAÍOÉÉ, OAÁÄaÄÉ) ÜÄØÌÍÉÓ ÁAÌÀOÄÄÉÉ ÓAÜÖÄE ÁAAÄÉ
- 11 TAYAÌÈÀ ÉÍÐT ÖOÉ ÁÀ ÄØØDÍ ÖOÉ

პროგრამის ჩართვა

საოფისე პროფ-
რამა **Access**-ის ჩასარ-
თავად მომხმარებელმა
უნდა გაააქტიუროს **Start\All Programs\ Micro-
soft Access** გზა, რომ-
ლის შემდეგაც ჩაიტვირ-
თვება აღნიშნული პრო-
გრამა და მომხმარე-
ბელს შეუძლია მასში
მუშაობა. აქვე არიან
განთავსებულნი სხვა
საოფისე პროგრამებიც.

ნებისმიერი მოღ-



ვაწეობა (ბიზნესი, მომდინარე საქმინობა თუ სხვ.) დაკავშირებუ-
ლია საბუთების უწყვეტ დინებასთან, რისი შენახვაც და შემდგომ-
ში პოვნა ყოველთვის არის დაკავშირებული დროის, ადგილის და
სხვა ფაქტორებთან. ამ ამოცანის გადაწყვეტის ყველაზე იოლი და
გავრცელებული გზა არის საბუთების და მათში შემავალი მონაცე-
მების კომპიუტერში განლაგება. მაგრამ თუ ეს მონაცემები ძალიან
ბევრია, მაშინ უბრალოდ კომპიუტერში განთავსებაც აღარ შევლის
(წამოიჭრება მონაცემების დროულად და ხარისხიანად პოვნის
პრობლემა). ამ პრობლემის გადასაწყვეტად შექმნილია მრავალი
პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აძლევს მომხმარებელს

მონაცემების შენახვის, დამუშავების, დახარისხების, ამოკრეფის და სხვა საშუალებებს. ასეთ პროგრამულ უზრუნველყოფებს უწოდებენ მონაცემთა ბაზების დამუშავების სისტემებს. ერთ-ერთი გავრცელებული და მძლავრი ასეთ სისტემათა შორის არის პროგრამა MS Access-ი.

აონაცემთა პაზა, აონაცემთა ცხრილი, აონაცემი

პროგრამა MS Access-ი არის მონაცემთა ბაზების მართვის მძლავრი საშუალება, რომელიც აძლევს მომხმარებელს მონაცემთა ბაზების შექმნის და მათში შესულ ინფორმაციასთან ეფექტურად მუშაობის საშუალებას.

მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საჭიროებს შენახვას მისი შემდგომში გამოყენებისათვის. პროგრამა MS Access-ში მონაცემი შეიძლება იყოს ტექსტის ნაწილი, რიცხვი, თარიღი, ნახატი, ფაილი და სხვ.

მონაცემთა ბაზა არის მონაცემთა ლოგიკურად დაკავშირებული ერთობლიობა, რომლებსაც გააჩნიათ საერთო თვისებები. მაგალითად ეს შეიძლება იყოს ფირმების ან დაწესებულებების მოღვაწეობა, თანამშრომლებზე ან ოჯახის წევრებზე ინფორმაცია და ა.შ.

MS Access-ი მონაცემებს ინახავს **მონაცემთა ბაზის ცხრილებში**, სადაც ყოველი ჩანაწერი წარმოისახება სტრიქონებად, ხოლო ველები – სვეტებად. **კულთ** წარმოადგენს კონკრეტულ თვისე-

ბის მქონე ინფორმაციას, რომელიც მეორდება ყველა ჩანაწერში, ხოლო **ჩანაწერი** არის ინფორმაციით შევსებული კელები კონკრეტულ ობიექტზე.

ახალი მონაცემთა ბაზის შექმნა

პირველი, რაც აუცილებელია MS Access-ისათვის ეს არის მონაცემთა ბაზის შექმნა, რასაც მიუთითებს მენიუ **New**-ს პირველივე სტრიქონის **Blank Database**-ის გააჭტიურებისას **File New Database** გამოჩენილი ფანჯარა, სადაც მომხმარებელმა უნდა ამორჩიოს თუ სად განათავსოს ახლად შექმნილი მონაცემთა ბაზა.


ახალი ცხრილის შექმნა

მონაცემთა ბაზის შექმნის შემდეგ სისტემა სთავაზობს მომხმარებელს ცხრილის შექმნის სამ საშუალებას:



ცხრილის შექმნის პირველი მეთოდი CREATE

TABLE IN DESIGN VIEW აძლევს მომხმარებელს საშუალებას გახსნილ მონაცემთა ბაზაში შექმნას მონაცემთა ცხრილი კონსტრუქტორის რეჟიმში და აჩვნევს შემდეგ ფანჯარას:



პირველ სეტში მომხმარებელს შეყვავს ველის დასახელება, მეორეში მონაცემის ტიპი, ხოლო მესამეში აღწერილობა.

კლის დასახელების შეყვანისას მომხმარებელი უნდა მოერიდოს სახელების განმორებას, ისეთი სახელების გამოყენებას, რომელსაც იყენებს თვით პროგრამა (მაგ., Name, Table და ა.შ.) და ისეთი სახელების მიცემას, რომელიც აღემატება 64 სიმბოლოს (ცარიელი სიმბოლოების ჩათვლით).

მონაცემის ტიპის განსაზღვრავს მოცემული ველის ტიპს და მის შეყვანისას ჩამოიშლება მენიუ, სადაც მომხმარებელს ეძლევა შერჩევის საშუალება, რომლებიც ჩამოთვლილი არიან შემდეგ ცხრილში:

მონაცემთა ტიპი

მნიშვნელობა	მონაცემთა ტიპი	ზომა
Text (ტექსტური)	ტექსტი ან რიცხვები, რომლებსაც გათვლები არ სჭირდებათ (მაგ., ტელეფონის ნომრები)	მაქსიმალური ზომა 255 სიმბოლო
MEMO	ძალიან გრძელი ტექსტი ან ტექსტისა და რიცხვების კომბინაცია	მაქსიმალური ზომა 65 535 სიმბოლო
რიცხვითი	რიცხვითი მონაცემები, რომლებსაც სჭირდებათ გათვლები	1, 2, 4 ან 8 ბაიტი (იხ. ცხრილი 2)
თარიღი/დრო	თარიღი და დრო, რომლის წლებიცაა 100-დან 9999- მდე	8 ბაიტი
ფულადი	ფულადი და რიცხვითი მნიშვნელობები, რომლებიც საჭიროა გათვლებისათვის და გამოიყენებს მთელ ნაწილში 15, ხოლო წილადში 4 ციფრს	8 ბაიტი

მთვლელი	რიცხვები, რომელიც ავტო- მატურად იცვლება ყოველ ახალ ჩანაწერის შექვანისას და არ მეორდებიან	4 ბაიტი
ლოგიკური	ღებულობს მხოლოდ ორ მნიშვნელობას "კი/არა" ("მართალი/ტყუილი", "ჩარ- თული/გამორთული" და ა.შ.)	1 ბიტი
OLE ობიექტი	ობიექტი (მაგ., Word-ის საბუთი, ან Excel-ის ცხრილი, ან ნახატი, ან ხმა და ა.შ. ორობით ფორმატში), რომელიც ჩასმულია ან დაკავშირებული	1 გბაიტამდე
პიპერგზავნილი	ტექსტი ან ტექტისა და რიცხვების კომბინაცია, რომელშიც წერია პიპერ- გზავნილის მისამართი	მახსიმალური სიგრძე 2048 ყოველი ნაწილისა
შეცვლის ოსტატი	ქმნის ველს, რომელიც იღებს მონაცემებს სხვა ცხრილიდან და ტიპიც გად- მოდის არჩეული ველის მიხედვით	იგივე

იმის და მიზედვით თუ რა მონაცემის ტიპს აირჩევს მომხმარებელი, ფანჯრის ქვედა ნაწილში შეიძლება გამოჩნდეს სხვადასხვა თვისებების ჩამონათვალი, რომლებიც ჩამოთვლილია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 2

თვისებები

დასახელება	მიზანება
ველის ზომა	ეთითება ველის მაქსიმალური დასაშვები ზომა
ველის ფორმატი	უთითებს ტექსტის, რიცხვის, თარიღების და დროის ეკრანზე ან პრინტერზე ველის მნიშვნელობის გამოყვანის ფორმატს
შეყვანის მასკა	უთითებს ველის მნიშვნელობის შეყვანის მასკას (შესაძლებელია ოსტატით შექმნა)
ხელმოწერა	მითითებული მნიშვნელობა იქნება გამოყვანილი ველის დასახელებად ეკრანზე და საბეჭდ ფორმებში
შეთანხმებით მნიშვნელობა	უთითებს ველის მნიშვნელობას შეთანხმებით თუ მომხმარებელმა არაფერი არ შეიყვანა (შესაძლებელია ოსტატით შექმნა)

პირობა მნიშვნელობაზე	ადებს ველის მნიშვნელობას პირობას შეყვანისას (თუ პირობა არ დაკმაყოფილდა მნიშვნელობა არ შევა ველში). შესაძლებელია ოსტატით შექმნა
შეტყობინება შეცდომისას	თუ არ სრულდება პირობა მნიშვნელობაზე გამოვა აქ ჩაწერილი ტექსტი
აუცილებელი ველი	ეთითება აუცილებელია თუ არა ამ ველში მნიშვნელობის შეტანა
ცარიელი სტრიქონები	ეთითება შეიძლება თუ არა ამ ველში ცარიელი სტრიქონის შეტანა
ინდექსირებული ველი	მიეთითება ინდექსირდება თუ არა ამ ველით ჩანაწერები (ინდექსაცია კეთდება იმ შემთხვევაში თუ ამ ველით საჭიროა ჩანაწერების გარკვეული მეთოდით დალაგება). არსებობს ინდექსაციის ორი მეთოდი: შეიძლება დამთხვევები და დამთხვევების გარეშე (ე.გ. ამ ველში არ იქნება ორი ერთნაერი ჩანაწერი)
ათობითი ნიშნების რიცხვი (რიცხვით ველებისათვის)	შეთანხმებით რიცხვი იქნება ფორმატში მითითებულის ტოლი, თუ არა აქ შეყვანილ ციფრის ტოლი
ახალი მნიშვნელობა (მთვლელისათვის)	მიმდევრობით თუ შემთხვევით მნიშვნელობით

რიცხვითი მონაცემთა ტიპი შეიძლება შერჩეული იქნეს
შემდეგი ცხრილის მიხედვით:

ცხრილი 3

რიცხვითი მონაცემები

მნიშვნელობა	აღწერილობა	წილადი ნაშილი	ზომა
ბაიტი	რიცხვები 0-დან 255-მდე და წილადის გარეშე	არ გააჩნია	1 ბაიტი
მთელი	რიცხვები -32768-დან 32768-მდე	არ გააჩნია	2 ბაიტი
გრძელი მთელი	რიცხვები -2147483648-დან 2147483647-მდე (მთელი)	არ გააჩნია	4 ბაიტი
ერთმაგი მოძრავი წერტი- ლით	უარყოფითი რიცხვებისატვის - 3,402823E38-დან -1,401298E-45- მდე და დადებითებისათვის 1,401298E-45-დან 3,402823E38- მდე	7	4 ბაიტი
ორმაგი მოძრავი წერტი- ლით	უარყოფითი რიცხვებისათვის -1,79769313486231E308-დან -4,94065645841247E-324-მდე და დადებითებისათვის 4,94065645841247E-324-დან 1,79769313486231E308-მდე	15	8 ბაიტი

რეპლი- კაცის კოდი	გამოიყენება რეპლიკების, რეპლიკების ნაკრებების, ცხრილების, ჩანაწერების და სხვა ობიექტების ინდენტიფიკაციისათვის	არ არის განსაზღვ რული	16 ბაიტი
ნამდვი- ლი	რიცხვები -10^{28} -1-დან 10^{28} -1- მდე	28	12 ბაიტი

მონაცემთა ფორმატის მნიშვნელობები მოყვანილია შემდეგ

ცხრილებში

ცხრილი 4

თარიღი და დროს ველების ფორმატები

მნიშვნ- ელობა	აღჭრილობა
თარიღის სრული ფორმატი	(შეთანხმებით) არის თარიღის მოკლე და გრძელი ფორმატების კომბინაცია. თუ შეიცავს მხოლოდ თარიღს, დროს არ აჩვენებს, ხოლო თუ შეიცავს მხოლოდ დროს – თარიღს (მაგ., 01.11.02 09:05:34)
თარიღის გრძელი ფორმატი	თარიღი იწერება სრულად (ეთითება Control Panel\Re- gional and Language Options-ში) მაგ., 2003 წლის 12 იანვარი
თარიღის საშუალო ფორმატი	მაგ., 12-იან-03

თარიღის მოკლე ფორმატი	თარიღი იწერება მოკლედ (ეთითება Control Panel\Regional and Language Options-ში) მაგ., 12.01.03 (მოკლე ფორმატში დაწერისას უნდა ინეს გათვალისწინებული, რომ წლები ეთითება 19 30-დან 2029-მდე)
დროის გრძელი ფორმატი	დრო იწერება სრულად (ეთითება Control Panel\Regional and Language Options-ში) მაგ., 09:15:07
დროის საშუალო ფორმატი	მაგ., 09:15 PM
დროის მოკლე ფორმატი	დრო იწერება მოკლედ (ეთითება Control Panel\Regional and Language Options-ში) მაგ., 09:15

სპეციალური ვორმატები

/	თარიღის კომპონენტების გაყოფის სიმბოლო (ეთითება Control Panel\Regional and Language Options-ში) მაგ., 15/01/03
:	დროის კომპონენტების გაყოფის სიმბოლო (ეთითება Control Panel\Regional and Language Options-ში) მაგ., 09:15
c	თარიღის სრული ფორმატი
d	თვის დღე ერთი ან ორი ციფრისაგან შემდგარი (1-31)

dd	თვის დღე ორი ციფრისაგან შემდგარი (01-31)
ddd	კვირის დღის მოკლე დამწერლობა (ორშ-კვი)
dddd	კვირის დღის სრული დამწერლობა (ორშაბათი-კვირა)
ddddd	თარიღის მოკლე ფორმატი
ddddd	თარიღის გრძელი ფორმატი
w	კვირის დღის ნომერი (1-7)
ww	კვირის ნომერი წელიწადში (1-53)
m	თვის ნომერი ერთი ან ორი ციფრისაგან შემდგარი (1-12)
mm	თვის ნომერი ორი ციფრისაგან შემდგარი (01-12)
mmm	თვის მოკლე დამწერლობა (იან-დეკ)
mmmm	თვის სრული დამწერლობა (იანვარი-დეკემბერი)
q	კვარტლის ნომერი წელიწადში (1-4)
y	დღის ნომერი წელიწადში (1-366)
yy	წლის ბოლო ორი ციფრი (00-99)
yyy	წლის სრული ნომერი (0100-9999)
h	საათის რაოდენობა ერთი ან ორი ციფრისაგან შემდგარი (0-23)
hh	საათის რაოდენობა ორი ციფრისაგან შემდგარი (00-23)
n	წუთების რაოდენობა ერთი ან ორი ციფრისაგან შემდგარი (0-59)
nn	წუთების რაოდენობა ორი ციფრისაგან შემდგარი (00-59)

S	წამების რაოდენობა ერთი ან ორი ციფრისაგან შემდგარი (0-59)
SS	წამების რაოდენობა ორი ციფრისაგან შემდგარი (00-59)
tttt	დროის გრძელი ფორმატის დამტერლობა
AM/PM	დროის ფორმატის 12-საათიანი დამტერლობა "AM" ან "PM"-ის დამატებით
am/pm	დროის ფორმატის 12-საათიანი დამტერლობა "am" ან "pm"-ის დამატებით
A/P	დროის ფორმატის 12-საათიანი დამტერლობა "A" ან "P"-ის დამატებით
a/p	დროის ფორმატის 12-საათიანი დამტერლობა "a" ან "p"-ის დამატებით
AMPM	დროის ფორმატის 12-საათიანი დამტერლობა "დილა/დღე"-ს დამატებით (თუ როგორ – ეთითება Control Panel\Regional and Language Options-ში)

ცხრილი 6

ვულადი ველების ვორმატები

მნიშვნელობა	აღმოჩენილობა
მირითადი	(შეთანხმებით) რიცხვები გამოდის ისე,

როგორც შეიყვანება

ფულადი	გამოიყენება ისეთი დაყენებები, რომელიც მიეთითება Control Panel\Regional and Language Options-ში (36.935 დაიწერება \$36.935)
ევრო	გამოიყენება ფულადი ფორმატი ევროს ნიშნით (€) და არა ის, რაც მითითებულია Control Panel\Regional and Language Options-ში
ფიქსირებული	გამოიყვანება წილადების ერთი თანრიგი მანც (გამოიყენება ის, რაც მითითებულია Control Panel\Regional and Language Options-ში). მაგ., 36.935 დაიწერება 36.94
თანრიგების დაყოფით	გამოიყვანება თანრიგების დამყოფი (გამოიყენება ის, რაც მითითებულია Control Panel\Regional and Language Options-ში). მაგ., 1546,736 დაიწერება 1 546,74
პროცენტული	მრავლდება 100-ზე და მიეწერება პროცენტის ნიშანი - % (გამოიყენება ის, რაც მითითებულია Control Panel\Regional and Language Options-ში). მაგ., 3 დაიწერება 300%, 0.45 დაიწერება 45%
ექსპონენციური	რიცხვები გამოიყვანება ექსპონენციალური სახით (მაგ., 4560 გამოიყვანება 4.56E+03)

სპეციალური ვორმატები	
; ; ;	პირველი - დადებითი რიცხვების ფორმატი; მეორე - უარყოფითი რიცხვების ფორმატი; მესამე - ნულოვანი მნიშვნელობების ფორმატი; მეოთხე - ცარიელი (Null) მნიშვნელობების ფორმატი (მაგ., +0;(0);0;"ცარიელი" შემთხვევაში გამოიყვანება დადებითი რიცხვები - პლიუს ნიშნით, უარყოფითი რიცხვები - ფრჩხილებში, ნულოვანი მნიშვნელობა - ციფრი 0 და ცარიელი მნიშვნელობებისათვის იწერება ცარიელი)
.	ათწილადის დამყოფი (გამოიყენება ის, რაც მითითებულია Control Panel\Regional and Language Options-ში)
,	თანრიგების დამყოფი
0	თანრიგის პროტოტიპი (გამოიყვანება ციფრი ან 0)
#	თანრიგის პროტოტიპი (გამოიყვანება ციფრი ან არაფური)
\$	გამოიყვანება ტექსტური კონსტანტა "\$"
%	პროცენტული ფორმატი (რიცხვი მრავლდება 100-ზე და ემატება პროცენტის ნიშანი)

E- ან e-	ექსპონენციურის ნოტაცია (უარყოფითის წინ იწერება მინუსის ნიშანი, ხოლო დადებითების წინ არაფერი). გამოიყენება მხოლოდ სხვა სიმბოლოებთან (მაგ., 0.00E-00)
E+ ან e+	ექსპონენციურის ნოტაცია (უარყოფითი ხარისხის წინ იწერება მინუსის ნიშანი, ხოლო დადებითების წინ პლიუსის ნიშანი). გამოიყენება მხოლოდ სხვა სიმბოლოებთან (მაგ., 0.00E+00)

ცხრილი 7

ტექსტური და MEMO ველების ფორმატები

მნიშვნელობა	აღჭრილობა
@	აუცილებელი ტექსტური ნიშანი ან ცარიელი ნიშანი (მაგ., ფორმატ <code>(@ @ @) @ @ - @ @ - @ @ -</code> ის დროს რიცხვი 899559901 დაიწერება (899)55-99-01)
&	არააუცილებელი ტექსტური ნიშანი
<	გადაყავს ყველა ნიშანი ზედა რეგისტრში (მაგ., <i>Null</i> იწერება NULL)
>	გადაყავს ყველა ნიშანი ქვედა რეგისტრში (მაგ., <i>Null</i> იწერება null)

სპეციალური ვორმატები	
;	პირველი - ტექსტის გამოსახულების ფორმატი, მეორე - ცარიელი სტრიქონების და Null მნიშვნელობების გამოსახულების ფორმატი (მაგ., @;"უცნობია" გამოისახება ცარიელი (Null) მნიშვნელობისას ან ნოლის ტოლი სტრიქონისათვის "უცნობია", ხოლო ნებისმიერი ტექსტის დროს გამოისახება თვით ტექსტი)

ცხრილი 8

ლოგიკური ველების სპეციალური ვორმატები

მნიშვნელობა	აღმოჩენილობა
;;	პირველი - არ მოქმედებს, მაგრამ ასახვა აუცილებელია, მეორე - მითითებული მნიშვნელობა ცვლის დადგენითს, მესამე - მითითებული მნიშვნელობა ცვლის უარყოფითს

ფორმატებს შორის სიმბოლოების ან ტექსტის ჩამატებისათვის, იგი უნდა დავწეროთ ბრჭყალებში (მაგ., ფორმატი "დღევანდელი დღე არის - %w, ddd დაიწერება ასე დღევანდელი დღე არის - %d, ოთხშაბათი)

შეყვანის მასკა არის ფორმატი შემდგარი მუდმივი

(როგორიცაა ფრჩხილები, წერტილები, დეფისები, ასოები,...) და
სპეციალური სიმბოლოებისაგან, რომლებიც უჩვენებენ რომელ
პოზიციებში, რა რაოდენობით და მონაცემთა რა ტიპებს. შეყვანის
მასკების სპეციალური სიმბოლოები მოყვანილია შემდეგ ცხრილში

ცხრილი 9

შეყვანის მასკის სამიზანო სიმბოლოები

მნიშვნელობა	აღმოჩენა
0	ციფრი. შეყვანა აუცილებელია. "+" და "-" დაუშვებელია
9	ციფრი ან ცარიელი. შეყვანა არააუცილებელია. "+" და "-" დაუშვებელია
#	ციფრი ან ცარიელი. შეყვანა არააუცილებელია. "+" და "-" დაშვებულია
L	ასო. შეყვანა აუცილებელია
?	ასო. შეყვანა არააუცილებელია
A	ასო ან ციფრი. შეყვანა აუცილებელია
a	ასო ან ციფრი. შეყვანა არააუცილებელია
&	ნებისმიერი ნიშანი ან ცარიელი. შეყვანა აუცილებელია
C	ნებისმიერი ნიშანი ან ცარიელი. შეყვანა არააუცილებელია
., : ; - /	თარიღის, დროის, ათწილადის და ა.შ. (გამოიყენება ის, რაც მითითებულია Control Panel\Regional and Language Options-ში)

<	ყველა ნიშნების ქვედა რეგისტრში გადაყვანა
>	ყველა ნიშნების ზედა რეგისტრში გადაყვანა
!	მასკის შევსება მარჯვნიდან მარცხნივ (ნიშანის ჩასმა შესაძლებელია ნებისმიერ ადგილზე)
\	აჩვენებს თუ რა ასო უნდა იყოს შემდეგი (მაგ., \A შეიყვანება როგორც "A")
პაროლი	ველში შეყვანილი ინფორმაცია შედის ჩვეულებრივად, როგორც დაიწერება, მაგრამ მონიტორზე აისახება მხოლოდ სიმბოლოები - *

იმ შემთხვევაში როდესაც ველისათვის მითითებულია
ფორმატიც და მასკაც, მასკის მნიშვნელობა იქნება
იგნორირებული, რადგანაც ფორმატს ეძლევა პრიორიტეტი.




ცხრილის შექმნის გეორგ მეთოდი CREATE

TABLE BY USING VIZARD აძლევს მომხმარებელს საშუალებას გახსნილ მონაცემთა ბაზაში შექმნას მონაცემთა ცხრილი ოსტატის რეჟიმში და აჩენს ფანჯარას (მოცემულია წინა გვერდზე).

მოცემულ ფანჯრის ზემო მარცხნა მიღამოში შესაძლებელია შეირჩეს ცხრილის ტიპის ცხრილის შექმნა სურს - საქმიანი თუ პირადი. ცხრილის ტიპის შერჩევის შემდეგ ქვედა მარცხნა მიღა- მოში შესაძლებელია შეირჩეს ცხრილის შინაარსი. შინაარსით ცხრილის შერჩევის შემდეგ შესაძლებელია შეირჩეს ველები ფანჯ- რის მარჯვენა მიღამოში და სურვილისამებრ გააკეთდეს ველის სა- ხელის გადარქევა. შემდეგ ბიჯზე გადასვლისას მონიტორზე გამო- ჩნდება შემდეგი ფანჯარა:



მოცემული ფანჯრის ზემო მარცხნა მიდამოში მომხმარებელს ეძღვევა საშუალება მიუთითოს მომავალი ცხრილის სახელი, ხოლო ქვედა მიდამოში შეარჩიოს ცხრილის პირველადი გასაღები დაუნიშნოს პროგრამას, თუ თვით მომხმარებელმა, რის შემდეგაც მონიტორზე გამოჩნდება შემდეგი ფანჯარა:




მოცემულ ფანჯარაში მომხმარებელს ეძღვევა საშუალება მიუთითოს მომავალი ცხრილის კავშირები უკვე შექმნილ სხვა ცხრილებთან, რისთვისაც დასაკავშირებელი ცხრილის შერჩევის შემდეგ მომხმარებელმა უნდა დააჭიროს ღილაკს "**Relationships**" და აირჩიოს თუ რა ტიპის კავშირი უნდა შეიქმას. რის შემდეგაც მონიტორზე გამოისახება შემდეგი ფანჯარა:

მოცემულ ფანჯარაში მომხმარებელს ეძღვევა საშუალება მიუთითოს: კავშირის გარეშე; მომავალი ცხრილის დაკავშირებული



იქნება შერჩეულ ცხრილთან; შერჩეული ცხრილი დაკავშირებული იქნება მომავალ ცხრილთან. შემდეგ ბიჯზე გადასვლისას მონიტორზე გამოჩნდება შემდეგი ფანჯარა:



მოცემულ ფანჯარაში მომხმარებელს ეძღვავა საშუალება შეარჩიოს თუ რა მოქმედებები უნდა ჩატარდეს ცხრილის შექმნის შემდეგ: შეიცვალოს ცხრილის სტრუქტურა; დაწყებული იქნეს მონაცემების შეტანა; ჩაირთოს მონაცემების შეტანის ეპრანული ფორმის შექმნის ოსტატი, რის შერჩევის შემდეგაც უნდა დაეჭიროს ღილაკს "Finish" და ცხრილი იქნება შექმნილი.

ცხრილის შექმნის მეთოდი CREATE TABLE BY ENTERING DATA ხსნის მონიტორზე შემდეგ ცხრილს:

Field1	Field2	Field3	Field4	Field5	Field6	Field7	Field8

მოცემულ ცხრილს გააჩნია (სვეტების სახით) ათი ველი და მომხმარებელს ეძღვავა საშუალება შეიტანოს მონაცემები ველებში. იმის და მიხედვით თუ რა ტიპის ინფორმაციას შეიტანს მომხმარებელი, პროგრამა შექმნის ცხრილს, რომლის კორექტირებაც შეიძლება კონსტრუქტორის რეჟიმში.


ცხრილის ქვედა სტრიქონში მოცემულია რამოდენიმე ღილაკი, რომლებსაც გააჩნიათ შემდეგი დანიშნულება:

- პირველ ჩანაწერზე გადასვლა;
- წინა ჩანაწერზე გადასვლა;
- ჩანაწერის ნომერი;
- შემდეგ ჩანაწერზე გადასვლა;
- ბოლო ჩანაწერზე გადასვლა;
- ახალი ჩანაწერის დამატება;
- რამდენი ჩანაწერია მოცემულ ცხრილში.

ამითი განხილულ იქნა მონაცემთა ბაზის ცხრილის შექმნის სამივე მეთოდი.

ახალი აოთეოვნის შექმნა

მონაცემთა ბაზაში ცხრილების შექმნის შემდეგ მომხმარებელს უკვე ექმნება საჭიროება მოთხოვნების შექმნაზე, რისთვისაც მომხმარებელი უნდა გადავიდეს შემდეგ ბიჯზე (Queries):




მოთხოვთის შექმნის ოსტატის გეზვეობით ხეთოდის (CREATE QUERY BY USING WIZARD)


შერჩევისას მონიტორზე გამოისახება შემდეგი ფანჯარა, რომლის გამოსახული ფანჯარის მარცხენა ზედა კუთხეში მოცემულია შექმნილი ცხრილების ჩამონათვალი. ცხლის შერჩევისას მარცხენა ქვედა კუთხეში გამოისახება შერჩეული ცხრილის ველები და მომხმარებელს ეძლევა საშუალება მათი შერჩევის (ერთმაგი ისარი – სათითაოდ ვეილს შერჩევა, ორმაგი – ყველასი ერთად).



შერჩეული ველები გამოისახება ფანჯრის მარჯვენა მხარეს და მომხმარებელს ეძლევა საშუალება შეცდომით შერჩეული ველების დაბრუნება, რის შემდეგაც უნდა გადავიდეს შემდეგ ბიჯზე და მონიტორზე გამოისახება შემდეგი ფანჯარა:



ამ ფანჯარაში გამოსახულია ორი სტრიქონი, რომლის საშუალებითაც მომხმარებელს ეძღვა საშუალება ცხრილიდან ვეღუ-



ბის პირდაპირი გადმოტანა (პირველი სტრიქონი), ან ამ ველებზე ელემენტარული მათემატიკური ოპერაციების გაკეთება (მეორე სტრიქონი). თუ მომხმარებელი აირჩივს მეორე სტრიქონს და დააჭირს შესაბამის ღილაკს მონიტორზე ასახება ფანჯარა (გამოსახულია წინა გვერდზე).

ამ ფანჯარაში მომხმარებელს ეძლევა საშუალება რიცხვით ველებს გაუკეთოს აჯამვა, საშუალოს გამოთვლა, მინიმუმის ნახვა, მაქსიმუმის ნახვა და ჩანაწერების რაოდენობის ნახვა. რის შემდეგაც მომხმარებელი უნდა დაბრუნდეს დათანხმების ღილაკის მეშვეობით წინა ფანჯარაზე და გადავიდეს შემდეგ ბიჯზე და მონიტორზე გამოისახება შემდეგი ფანჯარა:




ამ ფანჯარაში მომხმარებელს ეძლევა საშუალება შეარჩიოს მოთხოვნის სახელი და მიუთითოს დამთავრებისას თუ რა გააკეთოს პროგრამამ: შექმნილი მოთხოვნით გამოსახოს მონიტორზე ინფორმაცია (Open the query to view information), თუ შევიდეს მოთხოვნის კონსტრუქტორის რეჟიმში (Modify the query design) და დაასრულოს ოსტატის მუშაობა (ღილაკი Finish).

მოთხოვნის შექმნის პრიცეპულობრის მეთოდის (CREATE QUERY BY USING WIZARD) შერჩევისას მონიტორზე გამოისახება შემდეგი ფანჯარა:



მოცემულ ფანჯარაში მომხმარებელმა უნდა შეირჩიოს ცხრილების ან მოთხოვნების ჩამონათვალიდან სასურველი ცხრილი და დააჭიროს დამატების ღილაკს (Add). შერჩევის შემდეგ მომხმარებელი უნდა გამოვიდეს მოცემულ ფანჯრიდან დახურვის ღილაკის (Close) მეშვეობით, რის შემდეგაც მონიტორზე გამოისახება შემდეგი ფანჯარა:



მოცემულ ფანჯარაში ველების შერჩევის რამდენიმე მეთოდი არსებობს: მაუსით ცხრილში სასურველ ველზე ორჯერ დაჭრა; პირველ სტრიქონში (Field) შეირჩეს სასურველი ველი სასურველ ცხრილიდან ან ჯერ მეორე სტრიქონში (Table) შეირჩეს სასურველი ცხრილი და შემდეგ პირველ სტრიქონში სასურველი ველი ამ ცხრილის ველების ჩამონათვალიდან.

ველების შერჩევის შემდეგ მესამე სტრიქონში (Sort) მომხმარებელმა უნდა შეარჩიოს თუ რომელი ველით უნდა მოთხოვნაში ჩანაწერების სორტირება (კლებადობის (Descending) თუ ზრდადობის (Ascending) მიხედვით).

ველების შერჩევის შემდეგ მეოთხე სტრიქონში (Show) მომხმარებელმა უნდა შეარჩიოს თუ რომელი ველი უნდა გამოჩნდეს მოთხოვნაში.


ველების შერჩევის შემდეგ მეხუთე სტრიქონში (Criteria)

მომხმარებელმა უნდა შეარჩიოს თუ რომელი ველით უნდა გაკეთდეს მოთხოვნაში ფილტრი და რა კრიტერიუმით და ამისათვის ეძლევა რამოდენიმე საშუალება (შემდგომი სტრიქონები).

ყველაფერი სასურველის შერჩევის შემდეგ მომხმარებელს გამოსვლისას ეძლევა მოთხოვნის სახელის შეყვანის საშუალება.

ახალი ეპონაცული ფორმის შექმნა

ინფორმაციის ნახვისათვის ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი მონაცემთა ბაზაში ცხრილის ნახვის საშუალების გამოყენება. თუ მომხმარებელს უნდა, რომ ინფორმაცია უფრო ლამაზად და სასურველად გამოიყურებოდეს მონიტორზე, ამისათვის იქმნება ეპრანული ფორმები. მომხმარებელი უნდა გადავიდეს შემდეგ ბიჯზე (Forms):



განვიხილოთ ეკრანული ფორმის ოსტატით შექმნის (Create from by using wizard) საშუალება. პირველი ბიჯის ფანჯარა არის იგივე, რაც მოთხოვნის შექმნისას და ამიტომ გადავიდეთ მეორე ფანჯრის განხილვაზე:



მოცემულ ფანჯარაში მომხმარებელს ეძღვა საშუალება შეარჩიოს, თუ როგორი ტიპის ფორმა სჭირდება: სვეტებიანი (Columnar), ცხრილისებური (Tabular), მონაცემთა ცხრილის ტიპის (Datasheet), მონაცემების სტრიქონებად შევსება სტრიქონის შევსებამდე (Justified), დაკავშირებული ცხრილი (PivotTable) და დაკავშირებული დიაგრამა (PivotChart). ფორმის ტიპის შერჩევის შემდეგ მონიტორზე გამოისახება შემდეგი ფანჯარა:



მოცემულ ფანჯარაში მომხმარებელს ეძღვა საშუალება მეარჩიოს ეკრანზელი ფორმის დიზაინი და გადავიდეს შემდეგ ბიჯზე, რომელის არის მოთხოვნის შექმნის ოსტატის ბოლო ფანჯრის იდენტური.

ახალი საბაზიზი ფორმის შექმნა

ინფორმაციის დოკუმენტირებისათვის პროგრამა აძლევს მომხმარებელს მონაცემების საბეჭდ მოწყობილობაზე ამობეჭდვის საშუალებას, ამისათვის იქმნება საბეჭდი ფორმები. მომხმარებელი უნდა გადავიდეს შემდეგ ბიჯზე (Reports):


განვიხილოთ საბეჭდი ფორმის ოსტატით შექმნის (Create report by using wisard) საშუალება. პირველი ბიჯის ფანჯარა არის




იგივე, რაც მოთხოვნის შექმნისას და ამიტომ გადავიდეთ მეორე ფანჯრის განხილვაზე:



მოცემულ ფანჯარაში ოსტატი ეკითხება მომხმარებელს თუ რა ველის მიხედვით გააკეტოს მონაცემთა ამობეჭდვისას დაჯგუფება. აღსანიშნავია, რომ დაჯგუფება შეიძლება გაკეთდეს რამოდენიმე დონით და შემდგომში პრიორიტეტების ღილაკების მეშვეობით მათი კორექტირება, რის შემდეგაც მომხმარებელი უნდა გადავიდეს შემდეგ ბიჯზე:




მოცემულ ფანჯარაში ოსტატი ეკითხება მომხმარებელს თუ რა ველის მიხედვით ჯგუფში გააკეტოს მონაცემთა სორტირება. აღსანიშნავია, რომ სორტირება შეიძლება გაკეთდეს რამოდენიმე ველის მიხედვით. აქვე მომხმარებელს ეძლევა საშუალება აჯამვის ოფციების (Summary Options...) ღილაკის მეშვეობით გააკეთოს საბეჭდ ფორმაში ელემენტარული მათემატიკური მოქმედებები:



როგორც ქვემოდ მოცემული ფორმიდან ჩანს აქ ყველაფერი იგივეა, რაც მოთხოვნის შექნისას, გარდა მარჯვენა მხარისა, სადაც ოსტატი ეკითხება მომხმარებელს თუ როგორ გამოიტანოს ინფორმაცია: დათვლილი ველი დეტალურად (Detail and Summary), თუ მხოლოს დათვლილი ველები და გამოისახოს თუ არა ისინი პროცენტებითაც, რის შემდეგაც მომხმარებელი უნდა დაბრუნდეს დათანხმების ღილაკის მეშვეობით წინა ფანჯარაზე და გადავიდეს შემდეგ ბიჯზე და მონიტორზე გამოისახება ფანჯარა (გამოისახულია შემდეგ გვერდზე).

მოცემულ ფანჯარაში მომხმარებელი ირჩევს საბეჭდი ფორმის ფურცლის სტილს და გადადის შემდეგ ბიჯზე, სადაც ხორციელდება დიზაინის შერჩევა (ანალოგიურად ეკრანული ფორმის დი-




ზაინის შერჩევისა) და გადადის ბოლო ბიჯზე, რომელიც ანალო-
გიურია ეკრანული ფორმის შექმნის ოსტატის ბოლო ბიჯის.

ფორმის (ეპრაზელი, საბაზო) შექმნის დამატებითი საშუალებები

განვიხილოთ ეპრანული ფორმის კონსტრუქტორის (Design) რეჟიმი:

თუ არ ჩანს კონსტრუქტორის ღილაკების მენიუ (Toolbox) გამოვაჩინოთ იგი (View\Toolbox) და განვიხილოთ იგი:



სანამ დავიწყებდეთ ღილაკების დანიშნულებების შესწავლას, გავითვალისწინებული იქნეს რამოდენიმე წინაპირობა:

1. ღილაკის გააქტიურების შემდეგ მომხმარებელმა უნდა დააჭიროს მაუსის ღილაკს ფორმის იმ ადგილზე, სადაც უნდა ჩაისვას ობიექტი;
2. ობიექტიდან გამოსვლისათვის საკმარისია მაუსის დაჭერა ფორმის სხვა მიღამოში;
3. ობიექტზე თვისებების შერჩევისათვის და კორექტივისათვის საჭიროა მასზე მაუსის ღილაკის ორჯერ დაჭერა, ხოლო თვით თვისებების დანიშნულება ამ პარაგრაფის ბოლოს იქნება აღწერილი.

განვიხილოთ ღილაკების მენიუს ობიექტები:

ობიექტის შერჩევა, სხვა ღილაკის გათიშვა გამოიყენება ფორმაზე ნებისმიერი ობიექტის მონიშვნისათვის შემდგომში მასზე კორექტურების საშუალებით. ასევე მოცემული ღილაკი გამოიყენება სხვა ღილაკის მონიშვნის მოსახსნელად.

ოსტატის გამოყენების ღილაკის გააქტიურების შემთხვევაში, ფორმაზე ნებისმიერი ობიექტის შექმნისას (სადაც ამას აბიექტის სირთულე მოითხოვს) პროგრამა შესთავაზებს მომხმარებელს ოსტატის გამოყენების ფანჯარას.

წარწერის ჩასმის ღილაკი გამოიყენება ფორმაში წარწერის (სათაურის, დასახელების,) ჩასმისათვის.

კლიის ჩასმის ღილაკი გამოიყენება ფორმაზე ველის თავისი დასახელებით ჩასმისათვის.

ჯგუფის ჩასმის ღილაკი გამოიყენება ფორმაზე ჯგუფის ჩასმისათვის, რის დროსაც ჩაიტვირთება ოსტატი. განვიხილოთ ოსტატის ფუნქციები:

პირველი ფანჯარა სთავაზობს მომხმარებელს ჯგუფის შემადგენელი სტრიქონების დასახელებების შეტანას:



სტრიქონების შეტანის შემდეგ მომხმარებელმა უნდა დააჭიროს **Next** ღილაკს და მონიტორზე გამოჩნდება შემდეგი ფანჯარა:



აღნიშნული ფანჯარა სთავაზობს მომზმარებელს აირჩიოს თუ რომელი სტრიქონი იყოს არჩეული შეთანხმებით ან მეორე ვარიანტში არცერთი სტრიქონი არ იყოს შერჩეული შეთანხმებით. შერჩევის შემდეგ მომზმარებელმა უნდა დააჭიროს **Next** ღილაკს და მონიტორზე გამოჩნდება შემდეგი ფანჯარა:



აღნიშნული ფანჯარა სთავაზობს მომზმარებელს აირჩიოს თუ რომელი სტრიქონის არჩევისას რა მნიშვნელობა დაიმახსოვროს ფორმამ. შეტანის შემდეგ მომზმარებელმა უნდა დააჭიროს **Next** ღილაკს და მონიტორზე გამოჩნდება ფანჯარა (რომელიც გამოსახულია შემდეგ გვერდზე).

აღნიშნული ფანჯარა სთავაზობს მომზმარებელს აირჩიოს თუ რა ტიპის ჯგუფის შექმნა სურს მომზმარებელს:

1. მონიშვნის ჯგუფი (შესაძლებელია ერთდროულად მხოლოდ ერთი სტრიქონის შერჩევა);




- ჩართვის ჯგუფი (შესაძლებელია ერთდროულად რამო-დენიმე სტრიქონის შერჩევა);
- ღილაკის ჯგუფი (სტრიქონი შეირჩევა ღილაკზე დაჭე-რისას).

ფანჯრის მეორე ნაწილში მომხმარებელს აქვს საშუალება დიზაინის მეშვეობით გააფორმოს ჯგუფი (ჩაჭდევებული ჩარჩო, დახატული ჩარჩო, ამოჭდევებული ჯგუფი, ჯგუფის ჩრდილი, ჩაჭ-დევებული ჯგუფი). აშერჩევის შემდეგ მომხმარებელმა უნდა დაა-ჭიროს **Next** ღილაკს და მონიტორზე გამოჩნდება შემდეგი ფან-ჯარა:

აღნიშნული ფანჯარა სთავაზობს მომხმარებელს აირჩიოს ჯგუფის დასახელება და დაასრულოს ოსტატთან მუშაობა, რისთვისაც მან უნდა დააჭიროს **Finish** ღილაკს. ამით ფორმაში ჯგუ-ფის შექმნა დასრულებულია.



ღილაკის ოპციის ჩასმის ღილაკი ამატებს ფორმაზე შერჩევის ღილაკს, მონიშვნის ოპციის ჩასმის ღილაკი – მონიშვნით შერჩევას, ხოლო ჩართვის ოპციის ჩასმის ღილაკი – ჩართვით შერჩევას.



კომბინირებული სტრიქონის და ჩამონათვალის ჩასმის ღილაკები იძახებენ ერთიდამავე ოსტატს, რომლის პირველი ფანჯარა გამოიყერება შემდეგნაერად:

მოცემული ფორმის პირველი სტრიქონი სთავაზობს მომხმარებელს მონაცემების აიღოს ცხრილებიდან ან მოთხოვნებიდან, ხოლო მეორე სტრიქონი – მონაცემების შეტანას ოსტატის მეშვეობით, რის შემდეგაც მან ინდა დააჭიროს **Next** ღილაკს. ჯერ განვიხილოთ მეორე სტრიქონი:



მომხმარებლს ეძლევა საშუალება თავად შეიტანოს სვეტების რაოდენობა და სტრიქონების მნიშვნელობები ამ სვეტებში და დააჭიროს **Next**-ს.



მოცემულ ფანჯარაში მომხმარებელმა უნდა შეირჩიოს, თუ რომელი სვეტის მნიშვნელობა დაიმახსოვროს ფორმაზ და Next ღილაკის მქმედებით გადავიდეს შემდგომ ბიჯზე:



აღნიშნული ფანჯარა სთავაზობს მომხმარებელს აირჩიოს სათაური და დაასრულოს ოსტატან მუშაობა, რისთვისაც მან უნდა დააჭიროს **Finish** ღილაკს.

ოსტატის პირველ ფანჯარაში პირველი სტრიქონის შერჩევისას ოსტატი გამოიყვანს შემდეგ ფანჯარას:



იმის მიხედვთ თუ რომელ ოპციას აირჩევს მომხმარებელი ჩვენების (View) ფანჯარაში (Tables), მოთხოვნები (Queries) თუ ორივე ერთად (Both)), ფანჯარაში გამოჩნდება მონაცემთა ბაზის მონიშნული ნაწილი. მომხმარებელმა უნდა შეარჩიოს სასურველი ცხრილი (ან მოთხოვნა) და გადავიდეს **Next** ღილაკის მეშვეობით შემდეგ ბიჯზე:



აღნიშნული ფანჯარა უკვე ცნობილია მომხმარებლისთვის, სადაც უნდა შეარჩიოს სასურველი ველები და გადავიდეს Next ღილაკის მეშვეობით შემდეგ ბიკზე:




მოცემულ ფანჯარაში მომხმარებელს შეუძლია ჩართოს (ან გამორთოს) პირველადი გასაღების ველის ჩვენება და ნახოს თუ რომელი მონაცემები გამოჩნდება საბოლოოდ, რის შემდეგაც გადავიდეს **Next** ღილაკის მეშვეობით შემდეგ ბიჯზე:



აღნიშნული ფანჯარა სთავაზობს მომხმარებელს აირჩიოს სათაური და დაასრულოს ოსტატთან მუშაობა, რისთვისაც მან უნდა დაჭიროს **Finish** ღილაკს.


კომბინირებული სტრიქონის და ჩამონათვალის ჩასმის ღილაკები განსხვავდებიან ფორმაზე მხოლოდ გამოსახულებით.

ფორმაში ზედა სტრიქონი გამოხატავს კომბინირებულს, ხოლო ქვედა ჩამონათვალს. კომბინირებულში ქვემოთ გაშვერილი ისრის დაჭერისას გაიხსნება ჩანაწერები და მათში შერჩეული გამოისახება ველში, ხოლო ჩამონათვალში ერთდროულად ჩანს



რამოდენიმე ჩანაწერი და მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს მათში ერთი, რომელიც დარჩება გააქტივებული (გამუქებული).

**ბრძანებითი ღილაკის ჩასმის ღილაკი იძახებს ოსტატს, რო-
მელის მონიტორზე ასე გამოისახება:**




მომხმარებელს ეძლევა საშუალება აირჩიოს ღილაკის კატე-
გორია (ჩანაწერების ნავიგაცია, ოპერაციები ჩანაწერებზე,
ეკრანულ ფორმებზე, საბეჭდ ფორმებზე, ობიექტების გაშვება-
გამოსვლა,) და კატეგორიის მიხედვით შეირჩიოს თუ რა

მოქმედებები უნდა ჩატაროს პროგრამაში ამ ღილაკზე დაჭერისას, რის შემდეგაც გადავიდეს **Next** ღილაკის მეშვეობით შემდეგ



ბიჯზე:

მოცემულ ფანჯარაში ოსტატი სთავაზობს მომხმარებელს



შეირჩიოს თუ რა წარწერა ან ნახატი უნდა იყოს ღილაკზე, რის შერჩევის შემდეგაც იგი **Next** ღილაკის მეშვეობით უნდა გადავიდეს შემდეგ ბიჯზე (გამოსახულია წინა გვერდზე).

აღნიშნული ფანჯარა სთავაზობს მომხმარებელს აირჩიოს სათაური და დაასრულოს ოსტატთან მუშაობა, რისთვისაც მან უნდა დააჭიროს **Finish** ღილაკს.

ჩახატის ჩასმის ღილაკი წსნის გახსნის ფანჯარას, სადაც მომხმარებელს ეძლევა საშუალება შეარჩიოს ჩასასმელი გრაფიკული ფაილი, რის დახურვისას ფორმაში ჩაისმევა არჩეული ფაილი.

განსაზღვრული ობიექტის ჩასმის ღილაკი წსნის ფაილის




შერჩევის და გახსნის ფანჯარას:

მოცემულ ფანჯარაში მომხმარებელს ეძლევა საშუალება შეარჩიოს ჩასასმელი ობიექტი ეხლა უნდა შეიქმნას თუ უკვე შექმნილია რაიმე ფაილში და აქ უნდა ჩაისვას.

თუ ობიექტი ეხლა უნდა შეიქმნას და მომხმარებელი მიუთითებს თუ რა პროგრამით უნდა გაკეთდეს ეს, **OK** ღილაკის გააქ-

ტიურებისას ჩაიტვირთება აღნიშნული პროგრამა და მომხმარებელს მიეცება საშუალება ამ პროგრამაში შექმნას ობიექტი. პროგრამიდან გამოსვლისას შექმნილი ობიექტი ჩაისმევა ეკრანზე ფორმაში, რის შემდეგაც მომხმარებელს შეუძლია ამ ობიექტის კორექტირება.

თუ ობიექტი უკვე შექმნილია და მომხმარებელი აირჩევს



სათანადო ფუნქციას მონიტორზე გამოჩნდება შემდეგი ფანჯარა:

მოცემულ ფანჯარაში, **Browse** ღილაკის მეშვეობით, მომხმარებელს ეძლევა საშუალება მონახოს და შეირჩიოს საჭირო ფაილი. შერჩევის შემდეგ მომხმარებელს შეუძლია **Link**-ის მონიშვნით გაპეთდეს გზავნილი ობიექტზე და შემდგომში თუ ეს ობიექტი შეიცვლება, შეიცვლება აგრეთვე ობიექტის გამოსახულებაც ფორმაში. აგრეთვე მომხმარებელს შეუძლია **Display as Icon**-ის გააქტიურობით ფორმაში ჩანდეს არა ობიექტი, არამედ მისი მინიატურა, რომლის გააქტიურების შემთხვევაშიც გამოიძეხება მითითებული ობიექტი.

განუსაღვრელი ობიექტის ჩასმის ღილაკი სვამს ფორმაში
ფანჯარას, რომელშიც მომხმარებელს შეუძლია მუშაობის პროცეს-
ში ჩასვას ნებისმიერი ობიექტი, რომლის ტიპიც წინასწარ არ
არის ცნობილი და მიუთითოს მას სახელი.

გვერდის წყვეტის ჩასმის ღილაკის გააქტიურებისას ფორმა-

Page61 | Page62

ში სასურველ ადგილზე
მიეთითება გვერდის წყვეტა.

**გვერდების ობიექტის ჩასმის ღილაკის გააქტიურე-
ბისას ფორმაში ჩაისმევა**

ობიექტი, რომელიც მისცემს მომხმარებელს საშუალებას ერთ
გამოყოფილ ადგილზე დაჯგუფებით გამოვიტანოთ ინფორმაცია და
ამით ერთ ეკრანულ ფორმაზე გამოვსახოთ მრავალი ინფორმაცია.

ქვეფორმის ჩასმის ღილაკის გააქტიურებისას მომხმარებელს
შეუძლია აირჩიოს სასურველი ცხრილი ან მოთხოვნა ანუ ჩასვას
უკვე შექმნილი ფორმა ქვეფორმის სახით:

მეორე სტრიქნის შერჩევისას მომხმარებელმა ქვემოდ მო-
ყვანილ ფანჯარაში უნდა მიუთითოს სასურველი ფორმა და დააჭი-
როს **Finish** ღილაკს, ხოლო პირველი სტრიქნის შერჩევისას და
Next ღილაკის დაჭერისას მონიტორზე გამოისახება ცხრილების
ან მოთხოვნებიდან ველების შერჩევის ფორმა, რომელიც უკვე
კარგად ცნობილია წინა მასალიდან მომხმარებლისათვის, რის
შემდეგაც სათაურის შერჩევის ფორმაა და ოსტატის მუშაობის
დასრულება ავტოფორმის შექმნით.



წრფის ჩასმის ღილაკის გააქტიურებისას მოხმარებელს ეძლევა საშუალება ფორმაში ნებისმიერ ადგილზე ჩასვას წრფე.

მართვულ ჩასმის გარემონტის დროის დროის გააქტიურებისას მოხმარებელს ეძლევა საშუალება ფორმაში ნებისმიერ ადგილზე ჩასვას მართვულ ჩედი.


სხვა პროცედურის ჩასმის ღილაკის გააქტიურებისას მოხმარებელს ეძლევა საშუალება ფორმაში ჩასვას ჩამონათვალში მოყვანილი ნებისმიერი პროცედურა.

ამითი ყველა ღილაკის განხილვა დამთავრებულია.

ჩასმის შემდეგ მომზადებელს შეუძლია ობიექტზე მაუსის ორჯერ დაჭრით გამოიძახოს მისი თვისებები და გააკორექტიროს იგი. განვიხილოთ ზოგიერთი თვისება:

Name – ობიექტის სახელი;

Control Source – ობიექტის ველის (მნიშვნელობის) მითითება. ქვედა ისრის დაჭერისას გამოისახება ველების ჩამონათვალი და მომხმარებელს ეძლევა საშუალება შეარჩიოს სასურველი ველი, ხოლო სამ წერტილზე (...) დაჭერისას ჩაირთვება გამოსახულების შემქმნელი ოსტატი:



ამ ფანჯრის სტრიქონში გამოსახულია მათემატიკური და ლოგიკური ოპერაციების ღილაკები. მარცხნა ქვედა ფანჯარაში მომხმარებელს შეუძლია შეარჩიოს თუ საიდან უნდა ჩასვას ობიექტი – ცხრილებიდან, მოთხოვნებიდან, ეკრანული ფორმებიდან, საბეჭდი ფორმებიდან, ფუნქციებიდან და ა.შ.

ქვედა შეა ფანჯარაში იმის მიხედვით თუ რას აირჩევს

მომხმარებელი მარცხენა ფანჯარაში გამოჩნდება შესაბამისი ქვე-
დონე, ხოლო მარჯვენა ქვედა ფანჯარაში მისი მნიშვნელობები.
მომხმარებელს შეუძლია ოპერაციებით, ფუნქციებით და ა.შ. მიი-
ღოს ნებისმიერი გამოსახულება მონაცემთა ბაზის ნებისმიერი რეგ-
ვიზიტის გათვალისწინებით და დაჭიროს **OK** ღილაკს.

Caption – ობიექტის დასახელება ფორმაზე;

Picture – ობიექტზე ნახატი;

Picture Type – ობიექტზე ნახატის ტიპი;

Size Mode – ობიექტის ზომის სტილი;

Transparent – ობიექტის გამჭირვალობა;

Hyperlink Address – ობიექტის გზავნილის მისამართი;

Hyperlink SubAddress – ობიექტის გზავნილის მეორე მი-
სამართი;

Format – ობიექტზე ფორმატის დადება, რომელიც უკვე
ცნობილია მომხმარებლისათვის წინა მასალიდან;

Decimal Places – თუ ობიექტი რიცხვითია, წილადი ციფ-
რების რაოდენობა;

Input Masc – ობიექტში მნიშვნელობის შეტანის მასკა, რო-
მელიც აგრეთვე უკვე ცნობილია მომხმარებლისათვის წინა მასა-
ლიდან;

Row Source Type – ობიექტში სტრიქონის მნიშვნელობის
წყაროს ტიპი;

Row Source – ობიექტში სტრიქონის მნიშვნელობის წყარო;

Column Count – ობიექტში სვეტების რაოდენობა;

Column Heads – ობიექტში სვეტებს თუ გააჩნია სათაური;

Column Wight – ობიექტში სვეტების სიგანე;

Bound Column – ობიექტში სვეტებს შორის ზღვარი;

List Rows – ობიექტში სტრიქონების ჩვენების რაოდენობა;

List Wight – ობიექტში სვეტების სიგანის ჩვენების ზომა;

Default Value – ობიექტის მნიშვნელობა შეთანხმებით;

Validation Rule – ობიექტის მნიშვნელობის შეტანის წესი;

Validation Text – ობიექტის მნიშვნელობის არასწორი შეტანისას გამოსატანი ტექსტი;

Status Bar Text – ობიექტზე დადგომისას სტატუსის სტრიქონში გამოსატანი ტექსტი;

Limit To List – ობიექტში ჩამონათვალის ჩვენების ლიმიტი;

Auto Expand – ობიექტში ზომის ავტო გაგანიერება;

Enter Key Behavior – ობიექტზე **Enter**-ის დაჭრისას მოქმედება;

Allow AutoCorrect – ობიექტზე ავტოკორექტირების გამყენება;

Visible – ობიექტის ჩვენება;

Display When – ობიექტის ჩვენების წესი;

Vertical – ფორმაზე ვერტიკალური ტექსტების ჩვენება;

Enabled – ფორმაში ობიექტის ჩართვა (გამორთულ მდგრადებაში შეუძლებელია ამ ობიექტზე ნებისმიერი მოქმედებანი);

Locked – ობიექტის ჩაკეტვა;

Filter Lookup – ობიექტის ჩვენება ფილტრით;

Auto Tab – ობიექტში ბოლო სიმბოლოს შეტანისას ავტო-მატურად შემდეგ ველზე გადასვლა;

Tab Stop – ობიექტზე ტაბულაციის ღილაკის გათიშვა;

Tab Index – ტაბულაციის მეშვებით ფორმაზე გადასვლისას ობიექტის ნომერი მიმდევრობაში;

Scroll Bar – ობიექტში ვერტიკალური გადაადგილების ზო-ლის ჩვენება;

Can Grow – ობიექტის გაზრდის შესაძლებლობა;

Can Shrink – ობიექტის შეკუმშვის შესაძლებლობა;

Left – ობიექტის ადგილმდებარეობა ფორმის მარცხენა საზ-ლვრიდან;

Top – ობიექტის ადგილმდებარეობა ფორმის ზედა საზღ-რიდან;

Width – ობიექტის სიგანე;

Height – ობიექტის სიმაღლე;

Back Style – ობიექტის უკანა ფონის სტილი;

Back Color – ობიექტის უკანა ფონის ფერი;

Special Effect – ობიექტის ჩვენების დიზაინი;

Border Style – ობიექტის საზღვრის ჩვენების სტილი;

Border Color – ობიექტის საზღვრის ჩვენების ფერი;

Border Width – ობიექტის საზღვრის ჩვენების სიგანე;

Fore Color – ობიექტში ფონტის ჩვენების ფერი;

Font Name – ობიექტში ფონტის ჩვენების სახელი;

Font Size – ობიექტში ფონტის ჩვენების ზომა;

Font Weight – ობიექტში ფონტის ჩვენების სტილი;

Font Italic – ობიექტში ფონტის დახრილობის ჩვენება;

Font Underline – ობიექტში ფონტის ქვეშგასმის ხაზის ჩვენება;

Text Align – ობიექტში ტექსტის გასწორება (მარცხნივ, მარჯვნივ,...);

Shortcut Menu Bar – ობიექტზე მენიუს გამოსაძახებელი ღილაკების კომბინაცია ;

Before Update – ობიექტში მონაცემის განახლებამდე რა მოქმედებები ჩატარდეს;

After Update – ობიექტში მონაცემის განახლების შემდგომ რა მოქმედებები ჩატარდეს;

On Dirty – ობიექტში მონაცემის შეტანისას რა მოქმედებები ჩატარდეს;

On Undo – ობიექტში ბიჯის უარყოფისას რა მოქმედებები ჩატარდეს;

On Change – ობიექტში მონაცემის შეცვლისას რა მოქმედებები ჩატარდეს;

On Enter – ობიექტში შესვლისას რა მოქმედებები ჩატარდეს;

On Exit – ობიექტიდან გამოსვლისას რა მოქმედებები ჩატარდეს;

On Got Focus – ობიექტში შესვლამდე რა მოქმედებები ჩატარდეს;

On Lost Focus – ობიექტიდან გამოსვლის შემდგომ რა მოქმედებები ჩატარდეს;

On Click – ობიექტზე მაუსის დაჭერისას რა მოქმედებები ჩატარდეს;

On Dbl Click – ობიექტზე მაუსის ორჯერ დაჭერისას რა მოქმედებები ჩატარდეს;

On Mouse Down – ობიექტზე მაუსის ქვემოდ ჩამოტარებისას რა მოქმედებები ჩატარდეს;

On Mouse Move – ობიექტზე მაუსის გადატარებისას რა მოქმედებები ჩატარდეს;

On Mouse Up – ობიექტზე მაუსის ზემოთ ატარებისას რა მოქმედებები ჩატარდეს;

On Key Down – ობიექტზე ქვედა ისრის ღილაკის დაჭერისას რა მოქმედებები ჩატარდეს;

On Key Up – ობიექტზე ზედა ისრის ღილაკის დაჭერისას რა მოქმედებები ჩატარდეს;

On Key Press – ობიექტზე ნებისამიერი ღილაკის დაჭერისას რა მოქმედებები ჩატარდეს;

Reading Order – ობიექტში წაკითხვა (მარცხნიდან მარჯვნივ თუ პირიქით);

Keyboard Language – ობიექტში კლავიატურის ენა;

Scroll Bar Align – ობიექტში გვერდითა ზილის მდებარეობა (მარჯვნივ, მარცხნივ);

Numerical Shapes – ობიექტში ციფრების დაწერის სტილი;

Left Margin – ობიექტში დაშორება მარცხნიდან;

Top Margin – ობიექტში დაშორება ზემოდან;

Right Margin – ობიექტში დაშორება მარჯვნიდან;

Bottom Margin – ობიექტში დაშორება ქვემოდან;

Line Spacing – ობიექტში სტრიქონებს შორის დაშორება;

Is Hiperlink – ობიექტი გზავნილია თუ არა;

Forse New Page – გადასვლა ახალ გვერდზე: სექციამდე (Before Section), სექციის შემდეგ (After Section), სექციამდეც და სექციის შემდეგაც (Before & After);

New Row or Col – გადასვლა ახალ სტრიქონზე ან სვეტზე: სექციამდე (Before Section), სექციის შემდეგ (After Section), სექციამდეც და სექციის შემდეგაც (Before & After);

On Format, On Print, On Retreat – პროგრამის მოქმედებები აღნიშნული მიღამოს ფორმირებისას, ბეჭდვისას ან გამოსვლისას.

თუ მომხმარებელი გააქტიურებს მთლიანად მთელ ფორმას (ამისათვის მან უნდა დააჭიროს მაუსი ვერტიკალური და ჰორიზონტალური სახაზავების გადაკვეთას ან თვისებების ფანჯრის ზედა ნაწილის სტრიქონის გააქტიურებისას მიუთითოს **Form** ექრანზელი ფორმისათვის და **Report** საბეჭდი ფორმისათვის), მაშინ თვისებები შეეხება უკვე მთლიანად ფორმას და თვისებების ჩამონათვალში გაჩნდება სტრიქონები:

Record Source – მონაცემთა ბაზის ცხრილი ან მოთხოვნა საიდანაც ფორმაში უნდა გამოსახოს ინფორმაცია;

Filter – ფილტრის მითითების სტრიქონი;

Filter On (Allow Filter) – ფილტრის ჩართვა/გამორთვა;

Order By – სორტირების მითითების სტრიქონი;

Order By On – სორტირების ჩართვა/გამორთვა;

Default View – ჩვენება შეთანხმებით;

Allow Form View – შეთანხმება ფორმის ჩვენებაზე;

Allow Datasheet View – შეთანხმება მონაცემთა ცხრილის ჩვენებაზე;

Allow Pivot Table View – შეთანხმება დაკავშირებული ცხრილის ჩვენებაზე;

Allow Pivot Chart View – შეთანხმება დაკავშირებული გრაფიკის ჩვენებაზე;

Allow Edits – შეთანხმება კორექტირებაზე;

Allow Deletions – შეთანხმება წაშლაზე;

Allow Additions – შეთანხმება დამატებაზე;

Data Entry – მონაცემთა შეტანა;

Recordset Type – ჩანაწერის შერჩევის ტიპი;

Record Locks – ჩანაწერის ჩაკეტვა (ჩასწორების უფლების გარეშე);

Record Selectors – ჩანაწერის შერჩევის საშუალება;

Navigation Buttons – ჩანაწერებზე გადასვლის ღილაკების გამოჩენა;

Dividing Lines – გამყოფი ხაზის გამოჩენა;

Auto Resize – ჩანაწერის სიგრძის ავტომატური დაყენება

(შეტანილი ინფორმაციის სირბის მიხედვით);

Auto Center – ჩანაწერის ავტომატური ცენტრირება გამოყოფილ არეში;

Page Header – გვერდის სათაურის ბეჭდვა (All Pages – ყველა გვერდზე, Not with Rpt Hdr – არ დაიბეჭდება ფორმის სათაურთან ერთად, Not with Rpt Ftr – არ დაიბეჭდება ფორმის ფუძესთან ერთად (ე.ი. ფორმის ფუძე დაიბეჭდება შემდეგ გვერდზე), Not with Rpt Hdr/Ftr – არ დაიბეჭდება ფორმის სათაურთან ან ფუძესთან ერთად (ე.ი. ფორმის ფუძე დაიბეჭდება შემდეგ გვერდზე));

Page Footer – გვერდის ფუძის ბეჭდვა (ფუნქციები იგივე რაც Pages Headers-ს);

Date Groupingr – მონაცემთა დაჯგუფება (გამოყენებულია სისტემურად (Use System Seting) ან შეთანხმებით (US Defaults));

Grp Kept Together – მონაცემთა დაჯგუფება იქნება გვერდზე (Per Page) ან სვეტში (Per Column);

Pop Up – ფორმის გამოჩენა ყველა ფანჯრის ზემოთ;

Modal – ფორმის მოდალურად (მოდულში) გამოჩენა;

Control Box – გააჩნია თუ არა ფორმას კონტროლის მენიუ;

Min Max Buttons – მინიმალური და მაქსიმალური ღილაკების ჩვენება;

Close Button – დახურვის ღილაკის ჩვენება;

Whats This Button – აისახიოს თუ არა ინფორმაცია

ღილაკზე ქვედა სტრიქონში;

Picture Alignment – ნახატის გასწორება მიდამოში;

Picture Tiling – ნახატის დამუშავება;

Picture Pages – ნახატის ჩვენება (All Pages – ყველა გვერდზე, First Page – პირველ გვერდზე, No Pages – არცერთ გვერდზე);

Menu Bar – წინასწარ შექმნილი მენიუს ჩვენება;

ToolBar – წინასწარ შექმნილი ღილაკების მენიუს ჩვენება;

Shortcut Menu – წინასწარ შექმნილი კონტენსტური მენიუს ჩვენების ჩართვა/გამორთვა;

Shortcut Menu Bar – წინასწარ შექმნილი კონტენსტური მენიუს მითითება;

Grid X – ფორმის პორიზონტალური დანაყოფების რაოდენობა (კონსტრუქტორის რეჟიმში);

Grid Y – ფორმის ვერტიკალური დანაყოფების რაოდენობა (კონსტრუქტორის რეჟიმში);

Layout For Print – განლაგება ბეჭდვისას;

Fast Laser Printing – ფორმაში დაშორებები შეიცვალოს თუ არა ტექსტის სტრიქონების მიხედვით;

Help File – რომელი დახმარების ფაილი გამოიძახოს F1-ის გააქტიურებისას;

Help Context ID – დახმარების კონტექსტის ინდენტიფიკატორი;

Palette Sourse – პალიტრის გამოყენების წყარო;

Tag – აღწერის შეტანაპა 2048 სიმბოლოს გამოყენებით;

On current – რა პროცედურა ჩაირთოს ფორმის გახსნისას;

Before Insert – რა პროცედურა ჩაირთოს ახალი ჩანაწერის ჩასმამდე;

After Insert – რა პროცედურა ჩაირთოს ახალი ჩანაწერის ჩასმის შემდეგ;

On Delete – რა პროცედურა ჩაირთოს ჩანაწერის წაშლისას;

Before Del Confirm – რა დიალოგური მენიუ ჩაირთოს ჩანაწერის წაშლამდე;

After Del Confirm – რა დიალოგური მენიუ ჩაირთოს ჩანაწერის წაშლის შემდგომ;

On Open – რა მოქმედებები ჩაატაროს გახსნისას;

On Load – რა მოქმედებები ჩაატაროს ჩატვირთვისას;

On Resize – რა მოქმედებები ჩაატაროს ზომის შეცვლისას;

On Unload – რა მოქმედებები ჩაატაროს ამოტვირთვისას;

On Clouse – რა მოქმედებები ჩაატაროს დახურვისას;

On Activate – რა მოქმედებები ჩაატაროს გააქტიურებისას;


On Deactivate – რა მოქმედებები ჩაატაროს დეაქტივირებისას;

On Error – რა მოქმედებები ჩაატაროს შეცდომისას;

მოცემების იმპორტი და ექსპორტი

MS ACCESS-ში შესაძლებელია სხვა სისტემაში (DBASE, EXCEL,...) უკვე შექმნილი ცხრილები (მონაცემები) გადმოტანილი (კონვერტირებული) იქნეს ინფორმაცია ან სხვა ბაზის ცხრილი დაკავშირებული იქნეს გააქტივებულ ბაზასთან. ამისათვის გამოიყენება File\Get External Data:

ამ ფუნქციას გააჩნია ორი შესაძლებლობა:



A screenshot of Microsoft Excel showing a table with 8 rows and 3 columns. The columns are labeled A, B, and C. The data in the table is:

	A	B	C
1	name	aname	
2	Nukri	Amilakhvari	
3	Maria	Tarashvili	
4	Shoena	Davteliashvili	
5	Tinatin	Iankoshvili	
6	Eka	Tavtavadze	
7			
8			

MS ACCESS-ის პროგრამის გავაქტიურობა

მელ უზრუნველყოფაში გავააქტიუროდ ფუნქცია File\Get External Data\Import და გახსნილ ფანჯარაში მოვიძიოთ და მივუთითოთ ძემით აღნიშნული MS EXCEL-ის ფაილში ცხრილი, რის შემდეგაც გამოჩნდება ოსტატის შემდეგი ფანჯარა:



მოცემული ფანჯარის ზედა ნაწილში მომხმარებელმა უნდა მიუთითოს მოცემული MS EXCEL-ის ფაილიდან თუ რომელ

ცხრილშია ინფორმაცია და ქვედა
ნაწილში დათვალიუროს აღნიშ-
ნული ინფორმაცია, რის
შემდეგაც მომხმარებელმა შემდეგ
ფანჯარაზე გადასასვლელად უნდა
გააქტიუროს **Next** ღილაკი და
მიიღებს შემდეგ ფანჯარას:

მოცემულ ფანჯარაში მომხ-
მარებელმა უნდა მიუთითოს პირ-
ველი სტრიქონი იყოს სვეტის
სათაური თუ არა და შემდეგ ფანჯარაზე გადასასვლელად გააქტი-

A	B	C
1	name	aname
2	Nukri	Amilakhvari
3	Maiia	Tarashvili
4	Shorena	Davitelashvili
5	Tinatin	Iaskoshvili
6	Eka	Tavtavadze
7		
8		



უროს **Next** ღილაკი, რომლის შემდეგაც მიიღებს შემდეგ ფანჯარას:



მოცემულ ფანჯარაში მომხმარებელმა უნდა მიუთითოს მოცემული ინფორმაცია MS ACCESS-ში უნდა იქნეს გახსნილი ახალ ცხრილში, თუ მოცემული მონაცემთა ბაზის უკვე შექმნილ ცხრილს უნდა დაემატოს, რის შემდეგაც შემდეგ ფანჯარაზე გადასასვლელად მომხმარებელმა უნდა გააქტიუროს **Next** ღილაკი და მიიღებს ფანჯარას (რომელიც გამოსახულია შემდეგ გვერდზე).

მოცემულ ფანჯარაში მომხმარებელს ეძლევა საშუალება შეიყვანოს (გააკორექტიროს) ველის სახელი და ინდექსირების პირობები, მიუთითოს თუ რომელი ველი არ არის საჭირო (Do not



import field (Skip)), რის შემდეგაც შემდეგ ფანჯარაზე გადასასვლელად მომხმარებელმა უნდა გააქტიუროს **Next** ღილაკი და მიიღებს ფანჯარას (რომელიც გამოსახულია შემდეგ გვერდზე).

მოცემულ ფანჯარაში მომხმარებელს ეძლევა საშუალება მიუთითოს პირველადი გასაღები: დაემატოს პირველადი გასაღების ველი ავტოგადანომვრით, მიუთითოს ველი, რომელიც იქნება პირველადი გასარები და საერთოდ უარყოს პირველადი გასაღები, რის შემდეგაც შემდეგ ფანჯარაზე გადასასვლელად მომხმარებელმა უნდა გააქტიუროს **Next** ღილაკი და მიიღებს ოსტატის საბოლოო ფანჯარას, სადაც უნდა მიუთითოს ახლად შექმნილი ცხრილის სახელი და გააქტიუროს **Finish** ღილაკი.




თუ მომხმარებელს სურს გაუკეთოს მომცემულ მონაცემტა ბაზაში სხვა მონაცემტა ბაზის ცხრილი, მაშინ მან უნდა აირჩიოს File\Get External Data\Link Tables... და შეირჩიოს კერ მონაცემტა ბაზა და შემდგომ მასში შემავალი ცხრილი. ამ შემთხვევაში თუ ინფორმაცია შეიცვლება წინა მონაცემთა ბაზაში იგი ავტომატურად შეიცვლება მოცემულ მონაცემტა ბაზისათვისაც.

ანალოგიურად File\Export-ის მეშვეობით მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა გააქტივებულ მონაცემთა ბაზიდან გადაიტანოს (გაუკეთოს კონვერტაცია) სხვა სისტემებში: იგივე MS ACCESS-ის სხვა მონაცემთა ბაზაში, DBASE-ში, MS EXCEL-ში, HTML DOCUMENTS-ში, LOTUS-ში, PARADOX-ში, TEXT FILES-ში, MS WORD-ში და სხვ.

ასევე არის შესაძლებელი პირიქით გაკეთდეს კონვერტაცია, ე.ი. სხვა პროგრამულ სისტემებიდან MS ACCESS-ში. მაგალითი სათვის განვიხილოთ MS EXCEL-ის პროგრამა. გავხსნათ MS EXCEL-ში ცხრილი და გაუკეთოთ კონვერტაცია. ამისათვის მომხმარებელი უნდა შევიდეს ფუნქციაში File\Save As... და Save As Type სტრიქნში მიუთითოს ის პროგრამა, რომელშიც უნდა კონვერტაციის გაკეთება. სისტემა მისცემს პირველ გაფრთხილებას, რომ კონვერტირებული იქნება მხოლოდ აქტიური ცხრილი და მეორეზე – რომ კონვერტირებისას შეიძლება რამე მახასიათებლები დაირღვეს. ორივე შემთხვევაში მომხმარებელი უნდა დათანხმდეს წინადაღებას **OK** და **YES** ღილაკის გააქტიურებით.

ხოლო თუ მომხმარებელს სურს პროგრამა MS EXCEL-ში გააკეთოს კონვერტაცია სხვა სისტემიდან, მაშინ მან უნდა გააქტიუროს ფუნქცია Data\Import External Data\ Import Data...



შემოთავაზებულ ფაილის გახსნის ფანჯარაში მომზმარებელი
Files Of Type სტრიქნი ირჩევს ჯერ სისტემას რომლიდანაც
უნდა კონვერტაციის გაკეთება და შემდგომ კი თვით ფაილს, რის
შემდეგაც ცხრილში აღიღლის მითითების შემდეგ გამოსახუბა
კონვერტირებული ცხრილი, რომესაც პირველი სტრიქონი ექნება
ველის დასახელების სატრიქონი.

გინაკრსი

Microsoft Excel	3
ზორების დასახური	4
სამუშაოების დასახური	6
სამუშაოების დასახური	15
სამუშაოების დასახური	17
სამუშაოების დასახური	18
სამუშაოების დასახური	27
სამუშაოების დასახური	36
სამუშაოების დასახური	51
სამუშაოების დასახური	57
სამუშაოების დასახური	59
სამუშაოების დასახური	59
სამუშაოების დასახური	64
სამუშაოების დასახური	67
Microsoft Access	74
მონაცემთა ბაზა, მონაცემთა ცხრილი, მონაცემი	75
ახალი მონაცემთა ბაზის შექმნა	76
ახალი მონაცემთა ცხრილის შექმნა	77
ახალი მოთხოვნის შექმნა	77
ახალი მოთხოვნის შექმნა	98
ახალი ეკრანული ფორმის შექმნა	104
ახალი საბეჭდი ფორმის შექმნა	106
ფორმის (ეკრანული, საბეჭდი) შექმნის დამატებითი საშუალებები	111
მონაცემთა იმპორტი და ექსპორტი	139
